# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 20 ივნისი, 2014 წელი.

№118 (7499)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ვაჟა ბერიძე: „ქართულ ოცნებაში" მობილიზების მექანიზმი არ არსებობს!

3

## ნომრის კარიკატურა




## თბილისის საკრებულოში 243 ადამიანზე გაიცა პრემიები

4

## ევროკავშირთან ასოცირება ახალ ავტოსტანდარტს დაგვიწესებს?!

7

8

## აფხაზ სეპარატისტებს დემოგრაფიული შიში არ უნელდებათ

## სამხრეთ კავკასია – გეოპოლიტიკური სივრცე

4

## სიტყვა მძლავრობს, მისი საწინააღმდეგო აპარატურა კი აგვიანებს

11

## როგორ, ფსიქიატრია გაიყიდოს?!

6



ინვესტორი ხონის ფსიქიატრიული დაწესებულებით დაინტერესდა



9

## რეგიონების სასტუმროებში „სუფთად" მუშაობა ძალიან ძნელია

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

⊙ მეზობელი

# სომხეთი და საქართველო გზაგასაყართან

**სომხეთის პრეზიდენტ სერჟ სარგსიანის ვიზიტი საქართველოში განიხილება ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური არჩევანის კონტექსტში. მაშინ, როცა სომხეთი რუსეთის მიერ შექმნილ საბაჟო კავშირში აპირებს გაწევრებას, ხოლო საქართველო ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას აწერს ხელს, სამხრეთკავკასიელი მეზობლები საერთო მომავლის განჭვრეტას ცდილობენ.**

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში ჩართულმა სომხეთმა უკვე საკმაოდ დიდი ხანია აზრი და მიმართულება შეიცვალა და, საქართველოსგან განსხვავებით, ბრიუსელის ნაცვლად მოსკოვისკენ დაიწყო სვლა. სომხეთმა არჩევანი რუსეთის საბაჟო კავშირის სასარგებლოდ გააკეთა, რაც პრაქტიკულად შეუთავსებელია ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეში ინტეგრაციასთან.

დროის ამ მონაკვეთში, როცა ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური გზები სხვადასხვა მიმართულებით მიდის, საქართველოს პრეზიდენტი უაღრესად მნიშვნელოვნად მიიჩნევს ახლო თანამშრომლობის ხაზგასმას პარტნიორ ქვეყანასთან. 18 ივნისს, როცა თავის სასახლეში სომეხ კოლეგას მასპინძლობდა, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა თქვა, რომ სამომავლო თანამშრომლობის რესურსი დიდია და რომ იმას, რაც ხდება, სამომავლოდ „ექნება მხოლოდ პოზიტიური შედეგი“ ორივე ქვეყნისთვის:

**„სავაჭრო ურთიერთობას, რაც საქართველოს აქვს სომხეთთან, — და ამ მიმართულებით გვაქვს პოზიტიური დინამიკა და ზრდის დინამიკა, — კიდევ უფრო მეტი იმპულსი მიეცემა მომავალში“.**

მომავალს იმედიანად უყურებს სომხეთის პრეზიდენტიც. როგორც სერჟ სარგსიანმა განაცხადა 18 ივნისს თბილისში, პრეზიდენტის სასახლეში გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე, სომხეთი და საქართველო ყოველთვის აძლიერებდნენ ერთმანეთს და სწორედ ამ ორი ქვეყნის ძმობა და კეთილმეზობლობა ინარჩუნებდა მოწყვლად სტაბილურობას სამხრეთ კავკასიაში. პრეზიდენტ სარგსიანს გეგმები ახალი საგარეო პოლიტიკური რეალობის ფონზეც აქვს. ის თვლის, რომ მეზობელმა ქვეყნებმა ერთმანეთის შანსებიც უნდა გამოიყენონ:

**„მჯერა, ღრმად მწამს, რომ საქართველო, რომელიც 27 ივნისს ხელს მოაწერს ასოცირების შესახებ შეთანხმებას ევროკავშირთან და შეუერთდება თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმს, ეს იქნება კიდევ ერთი შესაძლებლობა მათ შორის ჩვენი ქვეყნის მეწარმეებისათვის, რომ გაიზარდოს ინვესტიციები. მეორე მხრივ, სომხეთის წევრობა საბაჟო კავშირში იქნება პერსპექტივა იმ ქართველი მეწარმეებისთვის, რომლებსაც სურთ, ინვესტიციები განახორციელონ სომხეთში და გავიდნენ ახალ ბაზრებზე, მათ შორის რუსეთის ფედერაციაში და მთლიანად ამ რეგიონში“.**

ასეთ გეგმას არარეალისტურად მიიჩნევს და მხოლოდ კეთილი სურვილების დონეზე აღიქვამს ექსპერტების ერთი ნაწილი. მაგალითად, აკადემიკოსი რევაზ გაჩეჩილაძე მოელის, რომ საბაჟო კავშირში შესვლის შემდეგ სომხეთი შეზღუდვებს დაუწესებს საქართველოს. ამ კონტექსტში ანალიტიკოსი ჩვენთან საუბრისას იხსენებს, მაგალითად, საბაჟო კავშირის წევრის, ყაზახეთის მიერ თავისი ბაზრის დახურვას ავტომობილების რეექსპორტისთვის საქართველოდან.

სომხეთის ლიდერი ახლა იმაში დარწმუნებას ცდილობს, რომ სამომავლოდ არაფერი დაემუქრება სომხეთის ეკონომიკურ კეთილდღეობას და რომ ყველაფერი ძველებურად დარჩება, — ამბობს რადიო თავისუფლებასთან საუბრისას პოლიტოლოგი ლევან ცუცქირიძე:

**„ძალიან მნიშვნელოვანია მისთვის საქართველოზე გამავალი სავაჭრო გზა რუსეთთან და ასევე ის ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც სომხეთსა და საქართველოს აკავშირებთ, კერძოდ, სხვადასხვა საქონლის იმპორტ-ექსპორტი. იმ პროცესების მიხედვით, რაც ვითარდება, — ანუ ჩვენ ხელს ვაწერთ ევროკავშირთან ასოცირებას, სომხეთი კი შედის საბაჟო კავშირში, — მნიშვნელოვანი სავაჭრო და ეკონომიკური საკითხები დგას დღის წესრიგში. ასევე დღის წესრიგში დგას პოლიტიკური საკითხები, რადგან ეს არ არის მხოლოდ ეკონომიკურ თანამშრომლობაზე ხელმოწერა, ეს არის გარკვეული პოლიტიკური არჩევანი“.**

ლევან ცუცქირიძე არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ, შესაძლოა, სომხეთის პრეზიდენტმა თბილისში გარკვეული მესიჯები მოსკოვის სახელითაც ჩამოიტანა. მას არ ჰგონია, რომ სომხეთი ამ ეტაპზე შუამავლის როლს ასრულებდეს სამხრეთ კავკასიაში არსებული დინამიკიდან გამომდინარე.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პრეზიდენტ სარგსიანის ორდღიანი ვიზიტი პრეზიდენტ მარგველაშვილის სომხეთში ვიზიტის საპასუხოა.



**ლელა კუნჭულია,**
**რადიო „თავისუფლება“**

## საქართველოსა და სომხეთს შორის ორი დოკუმენტი გაფორმდა

**ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ და საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმებებს ხელი საგარეო საქმეთა მინისტრებმა მაია ფანჯიკიძემ და ედვარდ ნალბანდიანმა მოაწერეს.**

ხელშეკრულების გაფორმების პროცესს ესწრებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი და ორი ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლები. აღნიშნული დოკუმენტების მნიშვნელობაზე კომენტარი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ გააკეთა.

— გასულ წელს 1 300 000 სომეხი ტურისტი იმყოფებოდა საქართველოში. ტურიზმი არის ეკონომიკის დარგი, რომელსაც განვითარების ძალიან დიდი პოტენციალი გააჩნია და სწორედ ამ სფეროს დაარეგულირებს ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოვაწერეთ. რაც შეეხება საიდუმლო ინფორმაციის გაცვლას, ეს არის მეგობრულ ქვეყნებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც ამ დონეზე ურთიერთობებს ითვალისწინებს, — განუცხადა ჟურნალისტებს მაია ფანჯიკიძემ.

* * *

**აფხაზეთის რკინიგზის აღდგენის საკითხი საქართველო-სომხეთის მთავრობათა შეხვედრაზე არ განხილულა.**

ამ თემაზე განმარტებები ჟურნალისტების კითხვის პასუხად მინისტრებმა გიორგი კვირიკაშვილმა და მაია ფანჯიკიძემ გააკეთეს.

კვირიკაშვილის თქმით, აღნიშნული საკითხი ურთულესია, როგორც ტექნიკური ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით, მაგრამ დღეს ამ საკითხზე საუბარი არ გამართულა.

ანალოგიური განცხადება გააკეთა მაია ფანჯიკიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საათნახევრიან შეხვედრაზე რკინიგზის თაობაზე არც ერთი სიტყვა არ თქმულა.

**ინტერპრესი**

⊙ „დემოკრატია“ ქართულად!..



## განვიცდიდი, რომ გარკვეულწილად შავ სიაში მოვყევი

**ამის შესახებ საგარეო ურთიერთობებში პრეზიდენტის ყოფილმა მრჩეველმა ვანო მაჭავარიანმა „მაესტროს 9-იანში“, თანამდებობიდან წასვლის მიზეზებზე საუბრისას განაცხადა.**

**ამასთან, მაჭავარიანი არ უარყოფს, რომ გადაწყვეტილებაზე გავლენა მასთან მიმართებაში ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის დამოკიდებულებამ იქონია.**

— რომ გითხრათ, არ იქონია-მეთქი, დამიჯერებთ? ფაქტია, ძალიან რთულია, როცა ადამიანი ენერგიას ხარჯავ, რომ ემსახურო ქვეყანას, პრეზიდენტის ინსტიტუტს და სანაცვლოდ ამხელა კრიტიკას იღებ, თან უსაფუძვლოს და მინდა, გითხრათ, რომ ძალიან ბევრი რამ, რაც ბიძინამ გააჟღერა, უბრალოდ სიმართლეს არ შეესაბამება. რა თქმა უნდა, ამან იქონია თავისი გავლენა, მაგრამ გადამწყვეტი არ იყო, თუმცა, მე ყოველთვის განვიცდიდი იმას, რომ გარკვეულწილად, შავ სიაში მოვყევი, ეს იგრძნობოდა. ადამიანებმა, რომლებმაც იცოდნენ რა ბიძინას დამოკიდებულება ჩემდამი, უცბად შეიცვალეს თავისი განწყობა და დისტანცირება მოახდინეს. საბოლოოდ, გადაწყვეტილება მე და გიორგიმ მივიღეთ ერთობლივად. მე პრეზიდენტს არაერთხელ განვუცხადე, რომ ძალიან მიჭირს იმ სიტუაციაში ყოფნა, როცა მუდმივი უარყოფითი ფონი არსებობს და ადამიანები ადმინისტრაციაში და ადმინისტრაციის გარეთ ცდილობენ ქულების დაწერის მიზნით ვანო მაჭავარიანზე ენა მიიტანონ ან საქმიანობაში ხელი შეუშალონ, — განაცხადა ვანო მაჭავარიანმა.

რაც შეეხება უშუალოდ მასსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილ უფროს ლაშა აბაშიძეს შორის მომხდარი უთანხმოების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას, პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი მხოლოდ გარკვეულ საკითხთან მიმართებაში აზრთა სხვადასხვაობის არსებობას ადასტურებს.

გარდა ამისა, მაჭავარიანმა ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის საკითხთან დაკავშირებით შექმნილ ვითარებაზეც ისაუბრა და განმარტა, რომ ევროპაში არანორმალურად მიაჩნიათ ის, რომ შეთანხმებას ხელს სახელმწიფო მეთაური არ აწერს.

## ვანო მაჭავარიანის განცხადებას ჭორაობად და სპეკულაციად მიიჩნევენ

**პრეზიდენტის ყოფილი მრჩევლის ვანო მაჭავარიანის განცხადებები მთავრობის წევრებმა შეაფასეს.**

**საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ მაჭავარიანის სატელევიზიო ინტერვიუს ჭორაობა უწოდა და ამ მოტივაციით დეტალური კომენტარის გაკეთებისაგან ჟურნალისტებს უარი განუცხადა.**

— მე ვანო მაჭავარიანისაგან განსხვავებით ასეთ საკითხებზე არ ვჭორაობ, ამიტომ კომენტარს არ გავაკეთებ, არც ერთ საკითხზე, რომელიც შესაბამის ინტერვიუში გაჟღერდა, კომენტარს არ ვაკეთებ იმიტომ, რომ ეს არის ჭორაობა, — განუცხადა ჟურნალისტებს მაია ფანჯიკიძემ.

ამასთან, ეკონომიკის მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის თქმით, მთავრობასა და პრეზიდენტს შორის არის ძალიან ნორმალური, სამუშაო ურთიერთობა და ამ მიმართულებით ვერავითარ პრობლემას ვერ ხედავს. ბრალდებები, რომელიც ინტერვიუში გამოითქვა კვირიკაშვილმა სპეკულაციად შეაფასა.

— მაგალითად, გაიმართა საქართველოსა და სომხეთის პრეზიდენტების შეხვედრა და რამდენიმე მინისტრი, რომელთა კოლეგაც სომხეთიდან ჩამობრძანდა, ამ შეხვედრას ვესწრებოდით. აქედან გამომდინარე, მინდა უარვყო ის, რომ თითქოს არ გვაქვს თანამშრომლობა პრეზიდენტთან. არსებობს ჩვეულებრივი თანამშრომლობა. მოღალატე მინისტრებს მე არ ვიცნობ და ძალიან მეპარება ეჭვი, რომ სიმართლის ერთი პროცენტი იყოს ამაში. ურთიერთობა მთავრობასა და პრეზიდენტს შორის არის ნორმალური და სამუშაო. რაც შეეხება ყოფილ პრემიერ-მინისტრთან მინისტრების ურთიერთობას, პირადად მე შემიძლია გითხრათ, რომ ის ჩემთვის პატივსაცემი ადამიანია და თუ რჩევას ვკითხავ, ამაში ვერავითარ დასაძრახს ვერ ვხედავ. პირიქით, მადლობელი ვიქნები თუ ის რჩევით დახმარებას გამიწევს, — განუცხადა ჟურნალისტებს ეკონომიკის მინისტრმა.

## საქართველოს ყველა მოქალაქე, ჩემი ჩათვლით, პრეზიდენტს პატივს სცემს

**საქართველოს ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით, ბოლო პერიოდში, საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან საქმიანი და პიროვნული ურთიერთობა არ შეცვლილა. ამის შესახებ დავით სერგეენკომ ბრიფინგზე განაცხადა.**

მინისტრი პრეზიდენტის ყოფილი მრჩევლის ვანო მაჭავარიანის კომენტარს გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, ბიძინა ივანიშვილის განცხადების შემდეგ მთავრობამ პრეზიდენტისგან გარკვეული დისტანცია დაიჭირა. დავით სერგეენკოს განცხადებით, არანაირ განცხადებას არანაირი გავლენა საქართველოს პრეზიდენტთან არ ჰქონია. მისივე ინფორმაციით, გიორგი მარგველაშვილთან ბოლო შეხვედრა დაახლოებით ერთი თვის წინ პრეზიდენტის რეზიდენციაში ჰქონდა, როდესაც საპატრიარქოს ეგიდით გამოფენა ჩატარდა.

— თუმცა, ერთმნიშვნელოვნად გიდასტურებთ, რომ არანაირ განცხადებას საქართველოს პრეზიდენტთან ურთიერთობაში, მით უმეტეს დისტანცირებაზე გავლენა არ მოუხდენია. ის არის საქართველოს პრეზიდენტი, რომელსაც საქართველოს ყველა მოქალაქე ჩემი ჩათვლით პატივს სცემს და ჩვენი ურთიერთობა, როგორც საქმიანი, ასევე პიროვნული არ შეცვლილა ბოლო პერიოდში, — აღნიშნა დავით სერგეენკომ.

განსჯა

# ვაჟა ბერიძე: „ქართულ ოცნებაში“ მობილიზების მექანიზმი არ არსებობს!



**ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური, სავარაუდოდ, ივლისის ბოლოს გაიმართება.**

**ვისთვის იქნება ხელსაყრელი და რომელი პოლიტიკური ძალისთვის ნაკლებად სასარგებლო აქტიური შვებულებების პერიოდი, მოხდება თუ ვერა ამომრჩევლის მობილიზება და რა პროცესებია მოსალოდნელი, ამ თემებზე for.ge ექსპერტ ვაჟა ბერიძეს ესაუბრა.**

**— ბატონო ვაჟა, აქვს თუ არა მნიშვნელობა მეორე ტურის თარიღს?**

— ყველაფერს აქვს მნიშვნელობა, სასურველი არ არის, როდესაც შუა ზაფხულში იმართება კენჭისყრა — შვებულებების პერიოდი იწყება, ხალხი ქალაქებიდან გადის და ეს ბუნებრივია, გარკვეული თვალსაზრისით კიდევ უფრო მეტად ამცირებს ელექტორატს, რომელიც მონაწილეობას გეგმავს არჩევნებში. მეორე ტურში, როგორც წესი, პირველ ჯერზე ნაკლებია გამოცხადება საარჩევნო ყუთებთან.

თუმცა, ბუნებრივია, ვერაფერს შეცვლი, რადგან ამ პროცედურებს აქვს თავისი გაწერილი რიგი და წესი, როდის შეიძლება, დაინიშნოს არჩევნები, პლუს კიდევ თუ გასაჩივრდა არჩევნების შედეგები — ამას ვერ შეცვლის ვერავინ.

**— შეეცდებიან თუ არა ოპოზიციური პარტიები, იგივე ნაციონალები, ცესკოში რაც შეიძლება მეტი სარჩელი შეიტანონ, თუნდაც იმიტომ, რომ მაქსიმალურად გაიწელოს არჩევნების დანიშვნის თარიღი?**

— ვფიქრობ, არ არის გამორიცხული, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არჩევნების შედეგები გაასაჩივროს ამ პროცედურის დროში გაწელვის მიზნით, რამდენადაც გაწელილი დრო მას მოტივირებულ ელექტორატს არ უმცირებს, ხოლო მოწინააღმდეგის მხარდამჭერების რაოდენობაზე უარყოფითად აისახება.

გარდა ამისა, არის რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც არჩევნების შედეგებით უკმაყოფილოა — დასაბუთებული იქნება თუ დაუსაბუთებელი ეს საჩივარი, პროტესტის დასაფიქსირებლად შედეგებს მაინც გაასაჩივრებს. ამდენად, მოსალოდნელია, რომ მართლაც ასე მოხდეს.

ეს არ აწყობს „ქართულ ოცნებას“, რადგან მეორე ტურში ძირითადად მისი კანდიდატები მონაწილეობენ, მათ მოწინააღმდეგეებს კი რომლებიც ასევე მეორე ტურში მონაწილეობენ, ეს ხელს აძლევთ.

**— თინა ხიდაშელი ამბობს, რომ ამ არჩევნებზე ამომრჩეველს დაბნეულობა შეეტყო და ხმები მნიშვნელოვნად იყო დაფანტული. მეორე ტურზე ეს როგორ აისახება, შესაძლებელია, „ოცნებამ“ მეტი მობილიზება მოახდინოს?**

— ამ შემთხვევაში ამ გონიერ ქალბატონს, თინა ხიდაშელს ვგულისხმობ, ვერ დავეთანხმები — ამომრჩეველი დაბნეული არ არის. ამომრჩეველს აქვს აბსოლუტურად კონკრეტული მიდგომები, რომლის მიხედვითაც ის იღებს გადაწყვეტილებას, დარჩეს სახლში თუ წავიდეს არჩევნებზე, დაუჭიროს მხარი „ქართულ ოცნებას“ თუ რომელიმე ოპოზიციურ ძალას.

არანაირი დაბნეულობა აქ არ არის. შესაძლოა, იყოს მცდარი მოტივაცია — საზოგადოების ნაწილს ეგონა, რომ ახალი ხელისუფლება ერთ-ორ წელიწადში რეალურ ცვლილებებს განახორციელებდა, რაც, ბუნებრივია, არარეალური იყო და ასეთი მოლოდინი არც უნდა ყოფილიყო, მაგრამ გაჭირვებულ ხალხს ყოველთვის სასწაულის სჯერა.

ის, რომ ჯანდაცვის რეფორმა განხორციელდა, პენსიას მოემატა და მთელი ჩვენი ბიუჯეტი ლამის მთლიანად სოციალურ ბიუჯეტად იქცა, ეს ელექტორატის იმ ნაწილისთვის, რომელიც თავის დროზე ნაციონალების წინააღმდეგ აქტიურობდა, საკმარისი არ აღმოჩნდა. ასეთი ხალხი ბურჯანაძისა და „პატრიოტთა ალიანსის“ რიგებში გადანაწილდა. მათ აინტერესებთ მხოლოდ ის, რომ სწრაფი შედეგი არ დადგა. არანაირ დაბნეულობას არ აქვს ადგილი, ადგილი აქვს აბსოლუტურად კონკრეტულ მიდგომებსა და კონკრეტულ იმედგაცრუებას, თუმცა, რამდენად საფუძვლიანი იყო მათი იმედები, ეს სხვა საკითხია.



**— ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ ეს არჩევნები დემოკრატიის კარგი მაგალითია და მმართველ გუნდს შემდეგი არჩევნების უკეთ მომზადებაში დაეხმარება. ამ არჩევნებზე რამემ შეუშალა ხელისუფლებას ხელი?**

— მმართველი გუნდის მიერ საარჩევნო კამპანიის დაგეგმვა — განხორციელება, ჩემი აზრით, უკეთესის სურვილს იწვევს. არ იყო ერთიანი გუნდი, შეკრული მექანიზმი. ამისთვის არც დრო ჰქონდათ და არც საშუალება, არც ადამიანური რესურსი და აბსოლუტურად მართალია პრემიერი ღარიბაშვილი, როდესაც ამბობს, უკეთესად უნდა მოვემზადოთო.

რა თქმა უნდა, მოემზადებიან, თუ სწორი დასკვნები გამოიტანეს იმ გაფრთხილებიდან, რაც მათ ხალხმა მისცა ამ არჩევნებზე. სიმართლე გითხრათ, ამისი მე ნაკლებად მჯერა, იმდენად ამორფული პოლიტიკური კოალიციაა „ქართული ოცნება“ — შიდა მობილიზაციის მექანიზმები არ არსებობს. ეს ყველაფერი დასულია რაღაც ჯგუფისთვის ინიციატივების გადაცემაზე, პარტიაში მაღალ ხელფასებზე, იმ ლიდერებისთვის, რომლებსაც განსხვავებული აზრი აქვთ, მაგრამ არ აფიქსირებენ, რადგან ასეთ შემთხვევაში ბევრ რამეს დაკარგავენ — შიდა პარტიული დემოკრატია, ვფიქრობ, კოალიციაში არ არსებობს. მეტ-ნაკლებად ეს დარეგულირებულია „რესპუბლიკელებთან“.

ამიტომაც, მექანიზმები არ არსებობს ახალი მიდგომებისა და გადაწყვეტილებებისათვის და, ვფიქრობ, მაინც მათთვის ავტორიტეტების მოსაზრებებს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ხალხის პულსზე ხელის დადებას.

ვისაც ეს არ მოსწონს, ბურჯანაძესა და „პატრიოტთა ალიანსს“ შეუერთდა, ან საერთოდ არ წავიდა არჩევნებზე. ამის შესაცვლელად კი ხელისუფლება არაფერს აკეთებს და ამბობს, რომ შესაბამისი იურიდიული მექანიზმები არ გააჩნია, მაგალითად, წართმეული ბიზნესებისა და ქონების დასაბრუნებლად.

მათთვის გაცილებით რეალურია ბიძინა ივანიშვილის ხედვები, მაგალითად, მაღალი პრემიები რომ არ მოსწონს, ვიდრე ხალხის განწყობა, რომელიც სამართლიანობის აღდგენის ბოლომდე მიყვანას მოითხოვს — ესეც არის უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი.

**— ანუ, რაკი ივანიშვილს არ მოსწონს, პრემიებს აღარ აიღებენ?**

— რაკი ივანიშვილმა თქვა, ვფიქრობ, უნდა დაემშვიდობონ დიდ პრემიებს. სხვათა შორის, როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ მოვიდა ხელისუფლებაში, სწორედ ივანიშვილი იყო მინისტრებისთვის მაღალი ხელფასის გადახდის ინიციატორი და თუ არ ვცდები, დაახლოებით ერთი წელი თვითონ უხდიდა ხელფასებს, რომ კორუფციისკენ ხელი არ წასცდენოდათ.

ახლა რატომ შეეცვალა ხედვა, არ ვიცი, რაკი ხალხს აწუხებს, იმიტომ? — პოპულისტური მიდგომები შედეგს არ მოგვცემს — მიდგომა სწორია, რომ ჩინოვნიკებს ნორმალური ხელფასი უნდა ჰქონდეთ, თუმცა, განსასაზღვრია, დღევანდელი სიღარიბის პირობებში რა შეიძლება ითვლებოდეს ნორმალურ ხელფასად საქართველოსთვის.

**— არჩევნების შემდეგ ადგილობრივ თვითმმართველობაში წარმოდგენილი იქნება ოთხი პოლიტიკური ძალა. რამდენად ეფექტური იქნება მათი მუშაობა?**

— კარგია, როდესაც რამდენიმე პოლიტიკური ძალა იქნება წარმოდგენილი, რამდენადაც „ქართულ ოცნებას“ მეტი მობილიზება დასჭირდება თავისი პოლიტიკის გასატარებლად, ფხიზლად იქნება და უფრო სწორ ნაბიჯებს გადადგამს. როდესაც მისი ოპონენტი მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობაა“, რომელსაც 10 წლის განმავლობაში უამრავი შეცდომა და კრიმინალიც კი აქვს დაშვებული (და რასაც არ ემიჯნება), მისი მძაფრი კრიტიკაც კი საზოგადოებაში სერიოზულად არ აღიქმება.

როდესაც ამას დაემატება სხვა პოლიტიკური ძალებიც, ვფიქრობ, ბევრად უფრო წაადგება პოლიტიკურ პროცესს და ხალხის ინტერესების მსახურებას თვითმმართველობის სხვადასხვა დონეებზე.

**მარიამ თოდაძე**

სტატისტიკა

# ხელფასი - საქართველოში

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასების სტატისტიკა გამოაქვეყნა. **საქართველოში 658 ათასი დაქირავებით დასაქმებულია და ისინი სულ დასაქმებულთა 38 პროცენტს შეადგენენ.**

სწორედ ეს ადამიანები არიან დღეს საშემოსავლო გადასახადის ძირითადი გადამხდელები, რომლებიც ამ მიმართულებით კისრად იღებენ ყველაზე მნიშვნელოვან საგადასახადო ტვირთს — მათ შორის საბიუჯეტო ხელფასების ზრდის ტვირთსაც.

სტატისტიკის თანახმად, 2014 წლის პირველი კვარტალის მდგომარეობით, **საშუალო თვიურმა ხელფასმა 795.5 ლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი 9 პროცენტით მეტია, 2013 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით,** თუმცა, თუ 2013 წლის ბოლო კვარტალს შევადარებთ, საშუალო თვიური ხელფასი 9 პროცენტით არის შემცირებული. განსხვავებულია ხელფასები სამეწარმეო და არასამეწარმეო სექტორებში — ბიზნესსექტორში დასაქმებულთა ხელფასი დაახლოებით 5 პროცენტით ნაკლებია, არასამეწარმეო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა ხელფასთან შედარებით.

სექტორულ ჭრილში, კვლავ ყველაზე დაბალანაზღაურებადია განათლება — **საშუალო თვიური ანაზღაურება ამ სექტორში 426 ლარია.** ყველაზე მაღალანაზღაურებადია საფინანსო საქმიანობა, 1744.8 ლარით. შედარებისთვის: ის დიდ ბრიტანეთში ყველაზე დაბალანაზღაურებადი მომსახურების სფეროა. **წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშუალო თვიური ხელფასები შემცირებულია მხოლოდ სამთომოპოვებითი მრეწველობის სექტორში — 3 პროცენტით, ყველაზე დიდი — 21-პროცენტიანი — სახელფასო მატებაა სოფლის მეურნეობაში. 10 პროცენტით არის მომატებული ხელფასები სახელმწიფო მმართველობის სექტორში.**



გენდერულ ჭრილში: **ქალთა საშუალო თვიური ხელფასი 594,7 ლარს შეადგენს და 40 პროცენტით ნაკლებია მამაკაცთა საშუალო თვიურ ხელფასზე.** შედარებისთვის: ევროკავშირის ქვეყნებში ქალთა საათობრივი ანაზღაურება 16 პროცენტით ნაკლებია, მამაკაცებთან შედარებით. ეს სხვაობა ყველაზე მაღალია — 20-პროცენტიანი — უნგრეთში, სლოვაკეთში, ჩეხეთში, გერმანიაში, ავსტრიასა და ესტონეთში, ხოლო შედარებით დაბალი — 10-პროცენტიანი — სლოვენიაში, პოლონეთში, იტალიასა და რუმინეთში.

საჯარო სექტორს თუ შევადარებთ, სადაც საშუალო ანაზღაურება 1047 ლარია, გამოდის, რომ საჯარო სექტორში შრომის ანაზღაურება ბიზნესსექტორთან შედარებით, 26 პროცენტით მეტია. მაგალითისთვის: ეს სხვაობა დიდ ბრიტანეთში 14,5 პროცენტია. თუმცა, გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი, კერძოდ: საჯარო სექტორში დასაქმებულებს, როგორც წესი, აქვთ მეტი გამოცდილება და კვალიფიკაცია. ამ ფაქტორების გათვალისწინების შემთხვევაში, სახელფასო სხვაობა საგრძნობლად მცირდება.

სტატისტიკა იმასაც მოწმობს, რომ **საშუალო თვიური ხელფასი საქართველოში დაახლოებით 4,5-ჯერ აღემატება საარსებო მინიმუმს.**

**ნინო ევგენიძე,**
რადიო „თავისუფლება“

ალიანჩალიანი

## ცესკო ახალქალაქსა და მარტვილში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

**18 ივნისს, №40 ახალქალაქის და №65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიებში სხდომების მიმდინარეობისას, რომლებზეც საჩივრები განიხილებოდა, შეიჭრნენ საარჩევნო სუბიექტის — „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ წარმომადგენლები, ხელი შეუშალეს კომისიის საქმიანობას და მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა კომისიის წევრებს. ორივე შემთხვევაში სიტუაციის განმუხტვის მიზნით აუცილებელი გახდა საპატრულო პოლიციის გამოძახება.**

**დაუშვებელია საარჩევნო სუბიექტების მხრიდან საარჩევნო ადმინისტრაციასა და მის გადაწყვეტილებებზე ძალადობრივი ფორმით ზეგავლენის მოხდენა; ცესკო კიდევ ერთხელ მოუწოდებს საარჩევნო სუბიექტებს, თავი შეიკავონ მსგავსი ქმედებებისგან და არ გასცდნენ მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს, — ნათქვამია ცესკოს განცხადებაში.**

**ინტერპრესი**

არჩევანი

# სამხრეთ კავკასია – გეოპოლიტიკური სივრცე

## როგორია საქართველოს მომავალი თანამედროვე სამყაროში?




**ნაშრომი, რომელზეც ქვემოთ უნდა გიამბოთ, ასე არის შეფასებული წინასიტყვაობაში: „მოტივაცია და მიზანი უცვლელია – დაეხმაროს ქართველ საზოგადოებას, ხელისუფლებას, ე. წ. პოლიტიკურ ელიტას, რომელიც ვერა და ვერ ამაღლდა ეროვნულის არსამდე, გაიაზროს არა მხოლოდ ცნება „სამშობლო“ (რაც ისედაც ვიცით და დღემდე გაუცნობიერებლად ვეწირებით), არამედ, გაიაზროს „თანამედროვე სახელმწიფოს“ მნიშვნელობა, რომელიც სამშობლოსთვის გაცნობიერებულად, შეუწირავად სამსახურის შესაძლებლობას იძლევა“.**

**„სამხრეთ კავკასია – გეოპოლიტიკური სივრცე“,** როგორც საქართველოს განვითარების უალტერნატივო არჩევანი, წარმოადგინა საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა **ზურაბ ხონელიძემ**. ამ პროექტს უსმენდნენ და იხილავდნენ მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, სადაც სხდომათა დიდ დარბაზში უამრავი სტუმარი იყო თავმოყრილი: პოლიტოლოგები, ისტორიკოსები, მეცნიერები, პოეტები, საზოგადოების ელიტური ფრთის წარმომადგენლები – ასე ვთქვათ, საქართველოს გონიერი ნაწილი ქართული იდეის გარშემო ერთიანი ინტერესით მსჯელობდნენ ზვიადისტები, ყოფილი მოქალაქეთა კავშირელები, ნაციონალები, ოცნების წარმომადგენლები. და მათ უმრავლესობას მისაღები ჰგონია აზრი, თავისებურად განვითარებული სამი მეზობელი სახელმწიფოს – საქართველო-სომხეთი-აზერბაიჯანის ერთ რეგიონად გაერთიანებისა.

ზურაბ ხონელიძის აზრით, ეს იდეა 20 წლის წინათ ჩამოყალიბდა, თუმცა ვერასოდეს მოხდა დროისა და სივრცის თანხვედრა მის განსახორციელებლად. საქართველო მარტო პრობლემებს ვერ გაუმკლავდება, ხოლო თუკი მოხდება საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ერთიან სივრცეში ინტეგრირება, ამ სამ სახელმწიფოს ლავირების მეტი სივრცე ექნება. რეგიონალიზმი ანაქრონიზმი არ არის, ის აუცილებლად მოიტანს შედეგს, რადგან ამ ქვეყნებს ექნებათ შინაგანი რესურსი, დაუპირისპირდნენ მათთვის ცუდის მოსურნეს, – ირწმუნება ნაშრომის ავტორი.

**„საქართველოს სრულფასოვან სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს გლობალურ სამყაროში ქვეყნის როლის ახლებური გააზრება და მისთვის დამატებითი – საერთაშორისო ფუნქციის შეძენის (ნაწილობრივ, აღდგენის) აუცილებლობა.**

**...დროის მოთხოვნად იქცა – საქართველოსთვის საერთაშორისო ფუნქციის შეძენა. სამხრეთ კავკასია (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) არასოდეს დაკარგავს თავის გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას (პირიქით). მართალია იგი მისი შემადგენელი ქვეყნების, ხალხების, საერთო სახლია, მაგრამ ისტორიული, ასევე მორალური თვალსაზრისით მათგან ერთადერთს – საქართველოს შესწევს უნარი, შეცვალოს საკუთარი, ასევე მეზობელი სახელმწიფოების ბედი, გადამწყვეტი როლი ითამაშოს ახალი – ერთიანი რეგიონული მოდელის შექმნაში და ამ გზაზე დანარჩენებიც თანამონაწილენი გახადოს.**

**წარმოდგენილი არასრუქტურული მოდელი „სამხრეთ კავკასია – გეოპოლიტიკური სივრცე“, როგორც იდეა, არ ახალია. იგი ჩვენი დიდი წინაპრების (განსაკუთრებით, დავით აღმაშენებლის) არასრულად განხორციელებული ნააზრევის ასლია... შეცდომა იქნებოდა ამ შესაძლებლობის (დღემდე გამოუყენებელი პოტენციალის) ხელიდან გაშვება, რომელიც ლოგიკურად ამთლიანებს ჩვენი ქვეყნის წარსულს, აწმყოსა და მომავალს“,** – ნათქვამია ნაშრომში.

აი, როგორი შეფასებები მოჰყვა ზურაბ ხონელიძის პროექტს სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცის შექმნის თაობაზე.

**ნუგზარ რუხაძე (ჟურნალისტი)** – პატივს ვცემ იმ ინტელექტუალურ და მორალურ სიმძლავრეს, რომელიც ახლა დარბაზში სუფევს. 20 წელიწადი დასჭირდა ამ პროექტის საზოგადოების სამზეოზე გამოტანას. თუმცა აქამდე მას გაეცნო 2 ათასი განათლებული ადამიანი, ზოგმა ალღო ვერ აუღო, ერთნი დაეჭვდნენ, მეორენი – პესიმიზმით შეხვდნენ, მაგრამ უმრავლესობამ მოიწონა. ეს არის იდეოლგიურ-პოლიტიკური პროექტი. ამიტომ ჩემი რჩევა იქნება, დავფიქრდეთ მასზე!

**ურუზმაგ ქარქუსოვი (საკონსტიტუციო კომისიის წევრი)** – პროექტი ყურადღებით წავიკითხე. კავკასია არც ევროპაა და არც აზია, კავკასია – კავკასიაა. მას საკუთარი კულტურა, ტრადიცია, ზნე-ჩვეულებები აქვს და არავისზე არ დგას. ეს იდეა გვიბიძგებს, აქ არსებულმა ქვეყნებმა შევიმუშავოთ ჩვენი შიდა პოლიტიკა და ერთობაზე ვიფიქროთ.




**გურამ ნიკოლაიშვილი (სამხედრო ექსპერტი)** – 300 ათას კვადრატულ კილომეტრზეა გადაჭიმული სამხრეთ კავკასია და 3 დიდი და სერიოზული კონფლიქტია ამ ტერიტორიაზე. აქ დაგროვილი შეიარაღება აღემატება გერმანიისას... ამ სახელმწიფოთა ერთ სივრცეში მოქცევის გარეშე კონფლიქტები ვერ მოგვარდება, ანუ ყველამ უნდა გაითავისოს, რომ ერთმანეთთან თანამშრომლობა აუცილებელია...

**გოგი თოფაძე (პარლამენტის წევრი):** გლობალიზაციის ეპოქაში შეიძლება ასეთ პროექტზე ფიქრი. ჩვენ ტოლერანტული ერი ვართ და საქართველომ ლიდერის, მომრიგებლის როლი უნდა შეასრულოს. ეს საკითხი პრინციპში შეთანხმებულია მეზობელი ქვეყნის პირველ პირებთან, პოლიტიკოსებთან. განხორციელება გართულდება, მაგრამ უნდა შევეცადოთ.

**ავთანდილ სილაგაძე (აკადემიკოსი)** – კონცეფცია ყურადღებით წავიკითხე. ჩემი აზრით, ჯერ პასუხი გავცეთ კითხვას, რას მოგვიტანს ეკონომიკური თანამშრომლობა, როცა რამდენიმე დღეში ხელს ვაწერთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას. ჩვენ აზერბაიჯანს 2020 წლამდეც კი ვერ გავუტოლდებით ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებლით. გაზისა და ნავთობის რესურსების თვალსაზრისითაც მეზობელ ქვეყანასთან ახლოსაც ვერ მივალთ. მოკლედ, ძალიან ბევრ ნიუანსზე გვაქვს საფიქრი...

**აკაკი ასათიანი (პოლიტიკოსი):** – თუკი ვერ მოიპოვებს საქართველო პოლიტიკური დომინანტის სტატუსს, ნათელია, რომ ეკონომიკაც წინ ვერ წავა. რაც უფრო მასშტაბური და დიდია ამოცანა, მისთვის თავის გადადება ღირს. ჩვენ უფრო ადვილად შევძლებთ, დავარწმუნოთ დიდი მოთამაშეები ამ პროექტის განხორციელების აუცილებლობაში.

**ნია ფიფია**

**P. S. მისასალმებელია, რომ მეცნიერებათა ეროვნული აკადემია იბრუნებს მთავარი სამეცნიერო მრჩევლის სტატუსს...**

**ნ. ფ.**

საგანგებო სიტუაცია

# თბილისის საკრებულოში 243 ადამიანზე პრემიები გაიცა

**თბილისის საკრებულომ ჟურნალისტებს საკრებულოს იმ წევრებისა და თანამშრომლების სია გადასცა, რომლებზეც ივნისში პრემია გაიცა.**

**ოფიციალური ინფორმაციით, ყველაზე დიდი ოდენობის პრემია – 8496 ლარის ოდენობით საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი შიხიაშვილმა აიღო.**

**შიხიაშვილის შემდეგ ყველაზე დიდი ოდენობით პრემია – 7080 ლარის ოდენობით მის პირველ მოადგილეზე გიორგი მუსხელიშვილზე გაიცა.**

**საკრებულოს დანარჩენი წევრების მიერ ჩარიცხული პრემიები კი ასეთია: გიორგი ტყემალაძე 6840, ჯაბა სამუშია 6840, მიხეილ ქავთარაძე 6240, გიორგი ნემსაძე 6240, ზაალ სამადაშვილი 6240, გიორგი ქველაძე 6240, გელა ომანიძე 6240, ნინო თევდორაძე 6240, ზაურ დოლიძე 6240, კახა გურული 6240, ზურაბ გაჩეჩილაძე 6240, ირაკლი დვალი 6240, კახა კუკავა 6240, ნათელა მაჭავარიანი 6240, დავით წერეთელი 6240, ნიკოლოზ ხაჩირაშვილი 6240, დავით ჯინჭარაძე 6240, კახაბერ ფირუაშვილი 6240, მაკა გვარამია 6240, მამუკა კაციტაძე 6240, თამაზ შოშიაშვილი 6240, ლაშა იმედაშვილი 6240, თეიმურაზ გრიგალაშვილი 6240, მამუკა ახვლედიანი 6240, კონსტანტინე იონათამიშვილი 6240, ზაზა გაბუნია 6240, მერაბ რაფავა 6240, გიორგი ჩაჩანიძე ასევე 6240 ლარი.**




**საკრებულოში პრემიები 2880-დან 800 ლარის ფარგლებშიც არის გაცემული. პრემია სულ 30 დეპუტატზეა გაცემული, დანარჩენები კი საკრებულოს აპარატის თანამშრომლები არიან. პრემია სულ 243 ადამიანზე გაიცა.**

# საკრებულოში დაუმსახურებელი პრემია არ გაცემულა

**თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის ირაკლი შიხიაშვილის განცხადებით, საკრებულოში, მათი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, არასდროს არ გაცემულა დაუმსახურებელი პრემია. ამის შესახებ ირაკლი შიხიაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, სადაც საკრებულოში გაცემულ 300%-იან პრემიებთან დაკავშირებით ისაუბრა.**

**მისი თქმით, საკრებულო თავის მოვალეობას სრული დატვირთვით ასრულებს და ღირსეულადაც ართმევს თავს.**

**– სწორედ ამის შედეგია, რომ აღარ ეძლევა საშუალება ზოგიერთ ვაჟბატონს, 50 მილიონობით ლარი არამიზნობრივად გაფლანგოს. მიმაჩნია, რომ თავის მართლება არასწორი იქნება ჩვენი მხრიდან, ვინაიდან საკრებულოში პრემიების გაცემის საკითხს წყვეტს არა ერთი ადამიანი, არამედ კოლეგიალური ორგანო – ბიურო. ბიუროზე ერთსულოვანი და ერთობლივი გადაწყვეტილება იყო მიღებული პრემიერთან დაკავშირებით, მით უმეტეს, რომ ეს პრემიები არის დამსახურებულად და თანაბრად გაცემული ყველა თანამშრომელზე როგორც დეპუტატზე, ისე აპარატის თანამშრომელზე, – აღნიშნა შიხიაშვილმა.**



**მისივე თქმით, ამ შემთხვევაში გავრცელდა ცრუ ინფორმაცია, თითქოს დიფერენციაცია ხდება და სხვა მიზნებისთვის იყენებს ამ ყველაფერს საკრებულო.**

**– ჩვენ არ ვაპირებდით ამის განსაჯაროებას, მაგრამ სამწუხაროდ გვიწევს ამის თქმა. საკრებულოს დეპუტატები თავისი კუთვნილი ხელფასიდან, უმრავლესობის დიდი ნაწილი, გასცემდა ქველმოქმედებაში თანხებს და ჩვენი პარტნიოები იყვნენ თამთა დემურიშვილი და „ბერი ანდრიას ფონდი“. ეს არის სიმსივნით დაავადებული ბავშვების პრობლემების მოსაგვარებლად, კონკრეტულად მათი კვებისთვის გაცემული თანხები. ჩვენი ეს თანამშრომლობა 4 თვეა, გრძელდება. ერთი კვირის წინ ქალბატონ თამთასთან მოვილაპარაკეთ, რომ საკრებულოს ხელფასის 100%, კერძოდ, ბოლო ხელფასი მთლიანად გადავრიცხოთ ბერი ანდრიას ფონდში და კიდევ იმ ფონდში, სადაც ადამიანებს სჭირდებათ სოლიდარობა და თანადგომა. თუ ვინმეს აინტერესებდა, რას აკეთებს საკრებულო, ჯობდა საკრებულოს ბიუროს სხდომის ოქმი თავიდან ბოლომდე წაეკითხა, – განაცხადა შიხიაშვილმა.**

**ინტერპრესი**

# მადლიანი კალამი ჰქონდა...

**საქართველოს ერთ-ერთი პირველი დამსახურებული ჟურნალისტი, გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი აბიბო თომაძე მრავალი წლის მანძილზე დიდი სიყვარულითა და ერთგულებით, ნაყოფიერად და ღირსეულად ემსახურებოდა ქართულ ჟურნალისტიკას.**

**დღეს მის ღვაწლზე, მის შემოქმედებით გზაზე, მისგან მოგვრილ დიდ სინათლეზე, მისი საინტერესო ცხოვრების წარუშლელ კვალზე მოვუთხრობთ მკითხველს.**

ყოველ ქალაქს თავისი განუმეორებელი იერსახე აქვს, თავისებური, სხვისგან განსხვავებული იერსახე; თავისებურია იგი ცხოვრების შინაარსითაც. მაგრამ ყველა მათგანს აქვს ერთი საერთო: ის უყვარს იმ ხალს, რომელიც იქ ცხოვრობს და ბედმა სადაც არ უნდა გადააგდოს ადამიანი, ის მაინც უხილავი ძაფებით არის დაკავშირებული მასთან. იქნებ დაავიწყდეს ბევრი რამ, რაც მას ცხოვრების გზებზე შეხვედრია, მაგრამ მშობლიური კერის სითბო გამუდმებით თან ახლავს, ამოუშლელია მისი მეხსიერებიდან, მისთვის აქედან იწყება მთელი ქვეყნის სიყვარული, რადგან „თუ შენი პატარა ეზო არ გიყვარს, ისე დიდ სამშობლოს ვერ შეიყვარებ“.

გამონაკლისნი არც ჩვენა ვართ, დუშელები. ჩვენც გვიყვარს ჩვენი ქალაქი, მისი ყოველი ქუჩა და ეზო, სახლი და ბაღი, მისი მრუდედ ამოსული ხეც და ძველი შენობის ნანგრევებიც, პატივს ვცემთ მის წარსულსა და აწმყოს და შევტრფით, იმედის თვალის შევყურებთ მის მომავალს.

მერე რა ქმნის სიყვარულის ამ მაღალ გრძნობას, მართლა მარტო ხეები და ქვები, ბაღები და შუკები? სამშობლო განა მართლა მარტო „ლურჯი მთებია“?

რა თქმა უნდა, არა!

სამშობლო ის ხალხია, ვინც ამ „ლურჯ მთებში“ ცხოვრობს. ამ გრძნობას ბადებენ ის ადამიანები, რომლებიც აქ სახლობენ, აქ მოღვაწეობენ და, ჩვენდა შეუცნობლად, ჩვენს ცხოვრებაში არიან შემოსულნი.

ხომ საამაყოა მშობლიური მხარე თავისი გარეგნობით, სილამაზით, მაგრამ ყველაზე საამაყონი არიან აქ დამკვიდრებული ადამიანები, მისი შვილები.

მაგრამ დრო ცვალებადია:

დგება ჟამი და ქალაქი საუკეთესო, ღირსეული პიროვნებებით მდიდრდება, ცხოვრება სისხლსავსე ხდება, იმარჯვებს რწმენა სიმართლისა და სიკეთის არსებობისა, მაგრამ დგება დრო და ღირსეულთა რიცხვი შესამჩნევად კლებულობს, სიცარიელე და უიმედობა ისადგურებს სულში და, შენდაუნებურად, გონებაში ცოცხლდება დიდი პოეტის სიტყვები: „ვაჰ სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა, ბოროტებისა და სიცრუის ჭურთა“.

აი, სულ ახლო წარსულში დუშეთი მდიდარი იყო განათლებული, პატიოსანი, შრომისმოყვარე ადამიანებით, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებით, რომელთაც თავიანთი კეთილი კვალი დააჩნიეს ჩვენს ქალაქს, პატივი და დიდება შემატეს მის სახელს.

ასეთ ღირსეულ მოქალაქეთა შორის მე მინდა, ღრმა პატივისცემის გრძნობით გავიხსენო ერთი მათგანი, რომელთანაც ერთად თითქმის 40 წელი ვიმუშავე და რომლის მთელი ცხოვრება ჩემს წინ გადაშლილი წიგნია. ეს ადამიანი გახლავთ აბიბო თომაძე.

აბიბო თომაძე ჩვენი ქალაქის, ჩვენი კუთხის სინამდვილეში ის პიროვნება იყო, რომლისგანაც შეგეძლო, მოგეპოვებინა ყველაზე დიდი და საჭირო რამ: სულიერი და გონიერი საზრდო!

აბიბო რესპუბლიკურ გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი იყო მრავალი წლის მანძილზე, ნიჭიერი, შემოქმედებითი კორესპონდენტი. იმ წლებში გაზეთ „კომუნისტს“ ასეთი პოპულარული კორესპონდენტი ბევრი არ ჰყავდა. ბინა კი ჩვენს კუკურის, როგორც მას ვეძახდით, ჩვენთან ედო, ჩვენი რაიონული გაზეთის რედაქციაში. იგი ერთ დღესაც არ ყოფილა უჩვენოდ, სულ ჩვენთან იყო, ჩვენი ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა, ჩვენს ჭირსა და ლხინს იზიარებდა.

მე ვამაყობ იმით, რომ მრავალი წლის მანძილზე მის გვერდით ვმუშაობდი. რამდენ რამეს ვსწავლობდი მისგან. უაღრესად განათლებულსა და წიგნიერს ჩვენს ყველა შეკითხვაზე შეეძლო პასუხის გაცემა. მეცნიერებაში, ლიტერატურაში თუ სხვა დარგებში რაიმე გაურკვეველ თუ საინტერესო საკითხებზე პასუხისთვის მას მივმართავდით და, არც თუ ამაოდ!



ის დრო, რაც ერთად ვიმუშავეთ, ყველაზე ნათელ პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენთვის.

რა საინტერესო საუბრები გვქონდა! რედაქციაში მისვლას ვესწრაფოდით, რათა ჩვენი სული და გონება გაგვეხალისებინა ახალი, საინტერესო ამბებით.

აბიბო თომაძე საოცრად ახლობელი იყო ჩვენთვის. მაგრამ მიუხედავად ამ ახლობლობისა და შინაურობისა, ერთხელაც არ გადაგვიბიჯებია ზრდილობის ზღვარი, რადგან ჩვენ გვხიბლავდა მისი ელეგანტურობა, თავის დაჭერა, ურთიერთობა ადამიანებთან, მისი სულის სიმაღლე.

ამბობენ ქვეყანა ისეთია, როგორსაც ხედავო. მდაბალნი ყოველთვის ცუდად ხედავენ ყველაფერს, კეთილი კეთილი კაცის სიკეთეს უფრო შეიგრძნობს, ცუდი კი მის მხედველობის არის შორეთში რჩება.

აბიბოს მოვლენების მისებური შეფასების უნარი ჰქონდა. იგი ყველაფერს ლამაზად ხედავდა ცხოვრებაში. ცხოვრების ჭუჭყი ვერ აიკრა მისმა სულმა, ყოველგვარ უარყოფითსაც კი იუმორით აღიქვამდა და ჩვენც, მის გარშემო მყოფნიც, მისი საუბრებით ყველაფერს ლამაზად ვხედავდით, ჩვენს გარშემო ყველაფერი კარგი იყო, ცუდი კი მხოლოდ ღიმილს იწვევდა.

აბიბო თომაძეს ადამიანებთან ყოველთვის ამაღლებული ურთიერთობა ჰქონდა, საოცარია მაინც: თითქმის 40 წელი რედაქციაში ერთად ვიყავით, მაგრამ მისი გაბრაზებული სახე, ავი სიტყვა ან სიძულვილით ანთებული თვალები არავის გვახსოვს.

განა არაფერი სწყინდა?

მაგრამ ამ წყენასაც ზემოდან დაჰყურებდა და იუმორით იქარვებდა.

ამბობენ, თვალები ადამიანის სულის სარკეა და მის თვალებშიც სულ სინათლე იდგა. ეს სინათლე, სიყვარული, მიმტევებლობა მისი შინაგანი არსებიდან მოდიოდა, რომლეშიც მხოლოდ მაღალი აზრები, სუფთა გრძნობები და სიცოცხლისადმი ჭეშმარიტი სიყვარული ბუდობდა.

სიცოცხლე დიდ რამედ მიაჩნდა აბიბოს, ადამიანისათვის მინიჭებულ დიდ საჩუქრად სთვლიდა. ომის მძიმე წლებგამოვლილმა კარგად იცოდა სიცოცხლის ფასი. „საოცარი, დიდებული რამ არის სიცოცხლეო — იტყოდა ხოლმე, — უნდა დავაფასოთ და სწორად გამოვიყენოთ იგიო“.

ომის მძიმე წლები თავიდან ბოლომდე საკუთარ მხრებზე გადაიტანა. სულ თავის თანამებრძოლებზე გვესაუბრებოდა, არ ივიწყებდა მათ, ჰქონდა მიწერ-მოწერა, შეხვედრები.

წერა მისი სულიერი მოთხოვნილება იყო.

მახსოვს, წერის როგორი მანერა ჰქონდა: უცებ მიყუჩდებოდა, ქუდს თვალებზე ჩამოიწევდა და წერდა როგორი ხმაურიც გინდა ყოფილიყო ირგვლივ.

ჩვენ ვიცოდით მისი ეს ჩვეულება და ვცდილობდით, ხელი არ შეგვეშალა, შეძლებისდაგვარად მისთვის სასურველი და საჭირო გარემო შეგვექმნა.

გაზეთ „კომუნისტში“ მისი კორესპონდენციების თემა მრავალფეროვანი იყო. ყოველ მათგანს განათლება ეტყობოდა. შესანიშნავი ქართულით დაწერილ მის სტატიებს მკითხველი სიამოვნებით კითხულობდა. მაგრამ მისი შემოქმედების ძირითადი თემა მთიელი კაცის ცხოვრება, მეცხვარეთა შრომის ასახვა იყო.

მართლაც საოცარია მთიელი კაცი. არ შეიძლება მისდამი პატივისცემის გრძნობით არ განიმსჭვალო. ყოველგვარი განათლების მიღების გარეშეც მას ბუნებისაგან მომადლებული დიდი შინაგანი კულტურა აქვს, ქედმაღალიც არის და ზრდილობიანიც, ვაცკაცურიც და გულჩვილიც.

ჰოდა, ეს ხალხი, ვაჟკაცური და პოეტური, მთელი სულითა და გულით შეიყვარა აბიბომ.

იმდროინდელ რესპუბლიკურ პრესაში იშვიათად ნახავდით გაზეთ „კომუნისტის“ ნომერს, მთიელი კაცის ცხოვრებაზე, მის გმირულ შემართებაზე რომ არ ყოფილიყო მასალა.

მთიელები დიდ ვალში ვართ მასთან. მისი მახვილი კალმის წვერი სულ ჩვენი ხალხის სადიდებლად ირჯებოდა, მან გაალამაზა იგი, მთელ საქართველოს გააცნო მთის კაცი თავისი ალალი გულით, მოუღლელი მარჯვენით, სიდინჯესთან შეზავებული იუმორის გრძნობით, გულახდილობითა და სამართლიანობით, შრომისმოყვარეობითა და კეთილი სულით.

ერთი სიტყვით, მთიელი კაცი ჩვენი პრესის ხშირი სტუმარი იყო და ეს ყველაფერი აბიბო თომაძის შემოქმედება გახლდათ!

აბიბო თომაძე რამდენიმე წიგნის ავტორია.

**„ამღერებული მთები“, „ფუტკრის სიმღერა“, „თეთრი ქარავნები“, „პარტიზანული ქრონიკები“.**

მოლხენა? ძალიან უყვარდა აბიბოს. აბა, ქართველი კაცი რის ქართველია, მოლხენა თუ არ უყვარს და ისიც სუფრის თავს იჯდა, თამადობდა, ენამზეობდა, ღვინოსაც მიირთმევდა, მაგრამ არამცთუ მთვრალი, არამედ ოდნავ ნირშეცვლილიც არავის უნახავს. ეს არ იყო სმა, ეს იყო მართლა მოლხენა, მახვილსიტყვაობა, მეგობრებთან ყოფნის სიხარული, სიკეთით გამთბარი სულიდან გამოჟონილი იუმორით სავსე საუბრები.

სიარულიც განსხვავებული იცოდა:

დადიოდა დუშეთის ქუჩებში ინტელიგენტი კაცი, ჭეშმარიტად ინტელიგენტი არა მარტო თავისი გარეგნობით და პეწიანი ჩაცმა-დახურვით, არამედ ქცევით, ადამიანებისადმი მოპყრობით. ის რომ სალამს მოგცემდა და მოგიკითხავდა, თავი ღირსეულ ადამიანად წარმოგედგინა.

გამიგონია, ავი საქმის ჩამდენ კაცზე იტყვიან-ხოლმე — რას იზამ, ცხოვრებამ გააბოროტაო. არა მგონია, ეს ყოველთვის მართალი იყოს: რამდენი დალხინებული ყოფის კაცი მინახავს გაბოროტებული, ან პირიქით: გაჭირვებული — სიკეთის მთესველი.

აბიბო თომაძე ადამიანთა მეორე კატეგორიას ეკუთვნოდა. ობლობაში გაიზარდა, დედინაცვლის ხელში, გაჭირვებაში. არც მის განათლებაზე უზრუნია ვინმეს, მაგრამ უყვარდა წიგნი, სულ წიგნი ეჭირა ხელში. ხოლო როცა მას, უბინაოს, სახელმწიფომ ბინა მისცა თბილისში, პრესტიჟულ უბანში, მან იგი უყოყმანოდ, უსაყვედუროდ დაუთმო მასთან თხოვნის მისულ მოხუც დედაკაცს, რომელმაც თავისი გაჭირვება შესჩივლა და ბინა სთხოვა.

რაოდენ საწყენია, რომ აბიბო თომაძეზე საუბარი უნდა ხდებოდეს, როგორც წარსულზე. საწყენია იმიტომ, რომ სწორედ დღეს გვჭირდება მისებური მყარი გონებისა და შეხედულებების ადამიანები.

ნიჭიერი ჟურნალისტი, შესანიშნავი მეოჯახე, უაღრესად პატივისმცემელი მეუღლე, უზომოდ მოსიყვარულე მამა, ერთგული მეგობარი და ბრწყინვალე მოქალაქე, რომელსაც აზროვნების მაღალი კატეგორიები ჰქონდა.

აი, ასეთი ადამიანები სჭირდება ჩვენს ქალაქს.

აი, ეს კაცი აკლია ჩვენს დღევანდელობას.

დარჩა მასზე ლამაზი, პატივისცემითა და სიყვარულით სავსე მოგონება. და ეს მას არც თანამდებობით და არც მატერიალური შესაძლებლობებით არ მოუპოვებია. ეს მან თავისი ნიჭიერების, სულიერებისა და კაიკაცობის შედეგად მიიღო.

**ლიანა ნადიბაიძე,**
**ჟურნალისტი**

---

**ალიანჩალიანი**

## მარკ მალენი - „ქართულ ოცნებას“ არ „უჩალიჩია“, რომ 50%-ზე ნაკლები ხმა ბარიერის ზემოთ აეწია

**ამის შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მარკ მალენმა განაცხადა. როგორც მალენმა აღნიშნა, ის არ სარგებლობდა საქართველოში ჩატარებული ადგილობრივი თითმმართველობის არჩევნებზე დამკვირვებლის სტატუსით და მისი მოსაზრებები, განცხადებები წარმოადგენს პირად მოსაზრებას და არა დამკვირვებლის ან „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს„ შეხედულებებს. მალენმა ხაზი გაუსვა პირდაპირი წესით მერებისა და გამგებლების არჩევნების მნიშვნელობას.**

**— ზოგადად საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები არც ისე მნიშვნელოვნად ითვლებოდა, იმიტომ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება, ფაქტობრივად არანაირ ძალაუფლებას არ ფლობდა. ეს დამოკიდებულება თანდათან იცვლება, პირველად ისტორიაში ადგილობრივ თვითმმართველობებს გარკვეული ძალაუფლება და გადაწყვეტილების მიღების საშუალება ექნებათ. ეს არის პოლიტიკურად მნიშვნელოვანი, — განაცხადა მარკ მალენმა.**

**მან მაგალითად მოიყვანა ქუთაისი, რომლის მერები ბოლო წლების განმავლობაში ძალიან ხშირად იცვლებოდნენ, თუმცა ხალხმა არც იცოდა და არც აინტერესებდა ვინ იყო მერი.**

**„ეს არჩევნები მორიგი წინგადადგმული ნაბიჯია დემოკრატიის განვითარების გზაზე და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ამ მხრივ არის 50%-იანი ბარიერი. როდესაც წინა არჩევნები იყო, ყველა კვლევის მიხედვით გიგი უგულავას რეიტინგი იყო 32% და მაშინდელმა უმრავლესობამ შეიტანა კანონში ცვლილება და ბარიერი დაწია 30%-მდე. ეს იყო ცინიკური უმრავლესობის მხრიდან. ამასთან მოხდა ისე, რომ უგულავამ უკეთესი კამპანია აწარმოა, ვიდრე ირაკლი ალასანიამ. თუმცა, ამ ცვლილებით მას თეორიულად შანსი ჰქონდა, გაემარჯვა იმ შემთხვევაშიც კი, თუ უფრო ცუდ კამპანიას აწარმოებდა. ახალმა ხელისუფლებამ შეცვალა საარჩევნო კოდექსი და ბარიერი აწია 50%-მდე და შემდეგ თავად „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ვერ გადალახა ეს ბარიერი. თუმცა, მათ არ „უჩალიჩიათ“ რომ მისი კანდიდატის 50%-ზე ნაკლები ხმა აეწიათ, თუნდაც, 51%-მდე, აღიარეს მეორე ტური. ეს არის ხელისუფლების მოწიფულობის ნიშანი, განსხვავებით იმისგან, როდესაც მეორე ტური არ დაუშვეს, როდესაც მიხეილ სააკაშვილს მეორე ვადით ირჩევდნენ პრეზიდენტად და მაშინ არსებობდა ეჭვი, რომ მეორე ტური უნდა დანიშნულიყო, — განაცხადა მარკ მალენმა.**

**ინტერპრესი**

№118. პარასკევი, 20 ივნისი, 2014 წელი.

# როგორ, ფსიქიატრია გაიყიდოს?!

## ინვესტორი ხონის ფსიქიატრიული დაწესებულებით დაინტერესდა



**ხონის ფსიქიატრიული საავადმყოფო იყიდება! — რედაქციაში განხორციელებულ ამ ანონიმურ ზარს კითხვების მთელი კასკადი მოჰყვა: რაში სჭირდება ინვესტორს ფსიქიატრია, იქნებ რაღაც შავი ფულის გათეთრებას გეგმავს, ან ხომ არ ეცდება სახელმწიფო დოტაციაზე მყოფი ავადმყოფების ფულის მოტეხვას, რადგან, როგორც ცნობილია, ხონის საავადმყოფოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 400 ათას ლარამდე ერიცხება ყოველთვიურად. შეიძლებოდა თუ არა ზოგადად დაინტერესებულიყო ვინმე ამ სფეროში ბიზნესის კეთებით? — ბუნებრივია, ასეთ ეჭვებს არსებობის უფლება აქვთ.**

როცა საქმე ეხება ძალიან მგრძნობიარე და საფრთხილო სამედიცინო სფეროს, ისეთს, როგორიც ფსიქიატრიაა, ხოლო სახელმწიფო წყვეტს ფსიქიკურად დაავადებულ პაციენტთა მკურნალობას, დამეთანხმებით, რომ აქ კითხვები განსაკუთრებული სიმწვავით უნდა დაისვას. და არავის უნდა გაუკვირდეს, როცა ამ თემაზე საზოგადოების დიდი ინტერესი აღიძვრება.

თუკი სახელმწიფო თავის ქონებას გაასხვისებს, ინვესტორი მისი სრულუფლებიანი მფლობელი ხდება და აქ უკვე „ინვესტორი" ნამდვილად უადგილო ტერმინია. მფლობელს კი სრული უფლება აქვს, როცა უნდა მაშინ შეუცვალოს დაწესებულებას პროფილი. სავსებით შესაძლებელია, შენობა გამოისყიდოს საპრივატიზაციო ფასად, ხოლო შემდეგ ნაკისრი ვალდებულებები ვერ ან არ შეასრულოს. ბუნებრივია, ეს თუნდაც ერთი დღით (ყველაზე უკეთეს შემთხვევაში) პაციენტების უფლებების შელახვასა და მათ დისკომფორტს გამოიწვევს, რაც თავისთავად ძალიან ცუდი პრეცედენტია... არის სხვა საგულისხმო ფაქტორიც. თუკი შენობა გასხვისდება, ხოლო ავადმყოფები ისევ სახელმწიფო დოტაციაზე იქნებიან, მათი უზრუნველყოფა ტენდერებით აღარ მოხდება და ინვესტორი თუ მფლობელი თანხებს საკუთარი სურვილით განკარგავს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რედაქციამ გადაწყვიტა ბოლომდე მიჰყოლოდა ამ ბიზნესპროექტის კვალს.

* * *

ინფორმაციის გადამოწმება ვცადეთ როგორც ეკონომიკის სამინისტროში, ისე ჯანდაცვის სამინისტროში. აღმოჩნდა რომ, მართლაც დღეს ბიძინა ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი გადაწყვეტილების მოლოდინშია: ან გაყიდიან, ან — არა. გაყიდვის შემთხვევაში კი ფაქტია, რომ დაწესებულების ავადმყოფების ბედი არსებითად შეიცვლება.

როგორც ქონების მართვის სააგენტოს პრესცენტრი გვარწმუნებს, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი გასაყიდ ობიექტთა ნუსხაში არ არის. **„კანონმდებლობით, ჩვენ ვმართავთ სახელმწიფო ობიექტს, თუმცა, ეს დაწესებულება ჯანდაცვის სამინისტროს თანხმობის გარეშე არავითარ შემთხვევაში არ გაიყიდება",** — აღნიშნა **ხათუნა პეტუნაშვილმა**.

ჯანდაცვის მინისტრის მრჩეველმა ეკონომიკის საკითხებში **კახა ჟღენტმა** ჩვენთან საუბარში დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამინისტროში ფსიქიატრიული ცენტრის გასხვისების თაობაზე მსჯელობა დაწყებულია: **„ჯანდაცვის სამინისტროს არ უძებნია ინვესტორი, რადგან ის თავად არის ამ ობიექტის 100 პროცენტის მფლობელი, სახელმწიფო ახორციელებს პროექტებს და მართავს მას. თუმცა, მოგვმართა ინვესტორთა ჯგუფმა და საკმაოდ საინტერესო პირობებიც შემოგვთავაზა. ისინი არიან ქართველი ბიზნესმენები, რომელთაც საქართველოში სხვა ბიზნესიც აქვთ. მათი წინადადებებიდან ჩანს, რომ უფრო ჰუმანიტარული მიზნები ამოძრავებთ, ვიდრე კომერციული. ამბობენ, რომ ფსიქიატრიის ეროვნულ ცენტრს პროფილი ბოლომდე შეუნარჩუნდება, განახორციელებენ მილიონიან ინვესტიციას, ააშენებენ სოციალურ სოფელს და ა. შ.**

**ჩვენი რეაქცია თავიდან იყო ასეთი — როგორ, ფსიქიატრია გაიყიდოს?! მაგრამ ახლა პროექტი განხილვის სტადიაშია. გადაწყვეტილებას ცალმხრივად ვერ მივიღებთ, ამაში უნდა ჩაერთოს რამდენიმე უწყება, საკითხი განიხილება დირექტორთა საბჭოზე, აზრს ვკითხავთ ფსიქიატრებს...**

**ყველა ნიუანსი, ყველა პუნქტი იქნება შესწავლილი და თუკი დაიდება ხელშეკრულება, მასში მკაცრად გაიწერება ყველა ვალდებულება, რომელიც ინვესტორს დაეკისრება.**

**მოკლედ, პროექტის შესწავლას დასჭირდება დრო, რამდენიმე თვე მაინც",** — დასძინა მან.

ამის შემდეგ დავუკავშირდით ხონის ფსიქიატრიის ეროვნული ცენტრის დირექტორ ბატონ **გოჩა ბაკურაძეს,** რომელმაც ჩვენთან სატელეფონო საუბარი არ ისურვა. მან განაცხადა, რომ **„ამაზე საუბარი ასეთი ფორმით ცოტა უხერხულია. მე არ ვიცი, მართლა ჟურნალისტს ვესაუბრები, თუ ვინმე სხვას. ამიტომ უმჯობესია, დაუკავშირდეთ ჩვენს პრესცენტრს და დეტალურ ინფორმაციას ის მოგაწოდებთ",** — გვითხრა მან.

რა თქმა უნდა, დავუკავშირდით პრესცენტრის ხელმძღვანელს **ცირა შვანგირაძეს,** რომელმაც ინფორმაცია ფსიქიატრიული საავადმყოფოს გაყიდვის შესახებ არც უარყო და არც დაადასტურა. **„ამის თაობაზე ჩვენს დაწესებულებაში არანაირი ოფიციალური დოკუმენტაცია არ შემოსულა. რაიმე ინფორმაცია რომ მოგაწოდოთ, უნდა დავეყრდნო სარწმუნო წყაროს...**

— ქალბატონო ცირა, ითქვა, რომ ერთ-ერთ თათბირზე ბატონმა გოჩამ თავად გაახმიანა ეს იდეა ჯანდაცვის სამინისტროში...

**— არ ვიცი, რა ხდება ზემოთ კულუარებში, მე დაწესებულების სახელით გესაუბრებით, აქ კი არანაირი ოფიციალური სახის დოკუმენტი არ გვაქვს",** — განაცხადა მან.

* * *

ჯერჯერობით, მოცემული რეალობა ასეთია. თუმცა, სანამ ჯანდაცვის სამინისტრო დაიწყებს ამ საკითხზე აზრის შესწავლას, ჩვენ შევეცადეთ გავსაუბრებოდით რამდენიმე ფსიქიატრს, რომელთა შეხედულებებსაც ქვემოთ გთავაზობთ.

**კახა ყიფიანი (ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის დირექტორის მოადგილე):** — ფსიქიატრია და, საერთოდ, მედიცინა წამგებიანი დარგია. მას სახელმწიფო დოტაციის გარეშე თავის რჩენა უჭირს. მაგალითად, ჩვენი დაწესებულება თავს ძლივს ინახავს და ინვესტორის მოტივაცია რა უნდა იყოს, ჩემთვის ძალიან ბუნდოვანია. მე არ ვიცი დეტალები, ამიტომ ჩემი აზრი ამ საკითხზე აბსოლუტურად სუბიექტურია, მეტიც — დილეტანტური... მაგრამ აი, ინვესტორის ლოგიკას ნამდვილად ვერ ვხვდები...

**— როცა სახელმწიფო დოტაციაზე არიან ავადმყოფები, შეიძლება ინვესტორი ფიქრობს, რომ იქიდან რაიმე ფინანსური გამორჩენა ნახოს?**

— ვერანაირად, შენი ჭირიმე, ავადმყოფებს ეს თანხა ძლივს ყოფნით. კიდევ რომ რაღაც მოაკლო და ჯიბეში ჩაიდო, გამორიცხულია, სად არის მოსატეხი ფული, არ გადამრიოთ?!

ფსიქიკურად დაავადებული ადამიანი არაფრის გადამხდელი არ არის. ეს არის მედიცინის ერთადერთი დარგი, სადაც ადამიანი დახმარებას ღებულობს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ. ან საიდან უნდა ჰქონდეთ ფული, როცა ხშირ შემთხვევაში პატრონისგან მოძულებულები არიან? ასეთი ხალხის მკურნალობაში რომ მილიონიანი ინვესტიცია ჩადო, მაშინ სხვა ისეთი ბიზნესი უნდა გქონდეს, როგორც, ვთქვათ, „ბე-ემ-ვე"-ს ფირმაა, ან ძალიან მაგარი გულშემატკივარი იყო ამ ადამიანებისა.

**ფსიქიკურად დაავადებული ადამიანი არაფრის გადამხდელი არ არის. ეს არის მედიცინის ერთადერთი დარგი, სადაც ადამიანი დახმარებას ღებულობს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ. ან საიდან უნდა ჰქონდეთ ფული, როცა ხშირ შემთხვევაში პატრონისგან მოძულებულები არიან? ასეთი ხალხის მკურნალობაში რომ მილიონიანი ინვესტიცია ჩადო, მაშინ სხვა ისეთი ბიზნესი უნდა გქონდეს, როგორც, ვთქვათ, „ბე-ემ-ვე"-ს ფირმაა, ან ძალიან მაგარი გულშემატკივარი იყო ამ ადამიანებისა.**

**— ხომ არსებობს კერძო ფსიქიატრიული დაწესებულებებიც?**

— კი, არსებობს, მაგრამ მათ არანაირი კავშირი არა აქვთ სახელმწიფოსთან. პაციენტების ფულს პატრონები იხდიან, თუმცა, მე როგორც ვიცი, იქაც ძლივს ინახავენ თავს.

არ ვიცი, ყოველ შემთხვევში ინვესტორის კომერციული მიზანი რა უნდა იყოს, ამას ვერ ვხვდები. რა მოგება უნდა მოუტანოს ბიზნესმენს, ბოდიში, მაგრამ საგიჟეთმა?! საქმიანი და სარფიანი ბიზნესი გათვალო ამაზე კეთილსინდისიერი გზით, წარმოუდგენელია.

თან თქვენი ინფორმაციით, მეუბნებით, რომ ინვესტორი სურვილს გამოთქვამს, შეიძინოს შენობა. ეს თუ ასეა, მაშინ ის ინვესტორი კი არ არის, უკვე მფლობელია, ანუ ინვესტიციას კი არ დებს, არამედ ყიდულობს ქონებას. აქედან გამომდინარე, ეს ყველაფერი ჩემში ძალიან დიდ ეჭვს აღძრავს...

* * *

**თემურ სილაგაძე (თსსუ-ს ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი):** — არ მესმის, რაში უნდა აინტერესებდეს ინვესტორს ხონის ფსიქიატრიული ცენტრი. მას რაღაც მიზანი უნდა ჰქონდეს — ან მოგება, ან ქველმოქმედება. ინვესტორობა ქველმოქმედება არ არის, ის წმინდა სახის ბიზნესია. ქველმოქმედება უნდა? — ღმერთმა ხელი მოუმართოს, ამის საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდნეს, მაგრამ, ჩემი აზრით, სულაც არ არის საჭირო ქველმოქმედმა იყიდოს რამე და მფლობელი გახდეს. მას შეუძლია ყოვლად უანგაროდ დაეხმაროს ადამიანებს.

ფსიქიატრია ზოგადად სახელმწიფო დაფინანსებაზეა, და ვერ ვხვდები, რა ბიზნესი უნდა დაატრიალო. როგორ შეიძლება, ვინმემ მოგებაზე ილაპარაკოს ისეთი ადამიანის ხარჯზე, როგორიც ფსიქიკურად დაავადებულია?!

**— ინვესტორებს უფრო ჰუმანიტარული მიზნები აქვთ, ვიდრე კომერციულიო, აცხადებენ ჯანდაცვის სამინისტროში, ააშენებენ სოციალურ სოფელს, მოაწესრიგებენ ინფრასტრუქტურას და ა. შ.**

— ააშენოს სოფელი, ვინმემ დაუშალა? ამიტომ რატომ ყიდულობს სახელმწიფო ქონებას?! რაღაც გაუგებარი წინადადებაა.

ვთქვათ, სახელმწიფო საკუთარი სახსრებით ვერ აწესრიგებს შენობას და გასაგებია, თუ ინვესტორს მოძებნის. მაგრამ ინვესტორის ინტერესი ხომ ის არის, რომ მასაც მოგება დარჩეს, თუნდაც გრძელვადიან სტრატეგიაზე იყოს ეს გათვლილი. ამიტომ მაეჭვებს ეს წინადადება, თუმცა, პროექტს არ ვიცნობ და მხოლოდ თქვენგან გავიგე ეს ინფორმაცია.

არის მეორე საკითხი: ჰუმანიტარი ვინ არის? — ის, ვინც ვიღაც ქველმოქმედს ფულს ართმევს და ამას გაჭირვებულებს ახმარს, თუმცა, მომსახურებაში იღებს ფულს, თუნდაც ძალიან სიმბოლურს. ამიტომ ერთმანეთისგან იმთავითვე უნდა გავმიჯნოთ ინვესტორი, ქველმოქმედი, ჰუმანიტარი. კომერციას კიდევ თავისი წესები აქვს.

კომერციული პროექტი ფსიქიატრიაში კი ჩემთვის წარმოუდგენელია.

* * *

სტატიის მზადებისას კომენტარი ვთხოვეთ ფსიქიატრ **გოგი ნანეიშვილს,** რომელსაც წლებია კერძო ფსიქიატრიული კლინიკა აქვს, თუმცა, მან თავი შეიკავა. ასევე ინტერვიუზე არ დაგვთანხმდა ფსიქიატრთა საზოგადოების გამგეობის წევრი **ზურაბ ბერაია**. **„საორგანიზაციო საკითხებში ჩახედული არა ვარ, ამდენად, სახელმწიფოს პოზიციას და მიდგომას ვერ შევაფასებ. ასე, ერთი შეხედვით, გამიჭირდება გითხრათ, ეს კარგია თუ ცუდი",** — განაცხადა მან.

რედაქცია დიდი ინტერესით დაელოდება ფსიქიატრთა და, ზოგადად, საზოგადოების სხვა წევრების გამოხმაურებას ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც აუცილებლად გავუზიარებთ ჩვენს მკითხველს.

**თეა მოსია**

**P. S. როგორც ხედავთ, ფსიქიატრები ძირითადად, თანხების სიმწირეზე ჩივიან. მათი თქმით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფსიქიატრიაზე დღესაც იგივეა გამოყოფილი, რაც რამდენიმე წლის წინათ იყო, თუმცა, პაციენტის შენახვა ახლა გაცილებით ძვირი ჯდება, ინფლაციის გამო.**

**სანამ სახელმწიფო ფსიქიკურად დაავადებულ პაციენტთა ბედს კერძო ბიზნესს მიანდობდეს (ეს იქნება ნაწილობრივ, თუ ეს იქნება დროებით), მკითხველს გვინდა, შევახსენოთ „ქართული ოცნების" ერთ-ერთი დაპირება. ამ ნუსხაში ცალკე იყო გამოყოფილი არათუ მედიცინა, არამედ ფსიქიატრია და იგეგმებოდა თანხების მინიმუმ გაორმაგება. პირობა არ შესრულდა!**

**ჩვენ კი არ გვინდა დავიჯეროთ, რომ სახელმწიფო ფსიქიატრიული ობიექტების გასხვისების გზას აირჩევს და ასე ეცდება ამ სფეროში თანხების „გაორმაგებას"!!!**

**თ. მ.**

ავტოტრანსპორტი და ჩვენ

# ევროკავშირთან ასოცირება ახალ ავტოსტანდარტს დაგვიწესებს?!



**რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი ევროკავშირთან ასოცირების შემდეგ თავისებური შეზღუდვა დაწესდება ავტომობილის სტანდარტზე, დაახლოებით, ისეთი როგორც აზერბაიჯანშია! ჩვენი მეზობლებისთვის ამგვარი რამ არავის დაუვალდებულებია, მაგრამ მათ თავად დააწესეს ახალი მოთხოვნები.**

პირველი ევროკავშირული მოთხოვნა ავტომფლობელებისთვის გაისად დაინერგება. საქმე ეხება მანქანების ტექდათვალიერებას. სხვათა შორის, აქ ევროპა არაფერ შუაშია. კონტროლის ეს მექანიზმი საქართველოში ყოველთვის არსებობდა და მისი გაუქმება სააკაშვილის მმართველობას უკავშირდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან მარტოოდენ საქართველოა დარჩენილი, სადაც ჯერ კიდევ არ არსებობს ავტომობილების ტექდათვალიერება.

ახლოვდება 27 ივნისი — დღე, როდესაც საქართველომ ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულებას უნდა მოაწეროს ხელი. ამ დღის მოახლოებასთან ერთად ჩნდება ეჭვი — ევროკავშირთან დაახლოება ხომ არ ნიშნავს, რომ ჩვენთანაც ავტომატურად შემოვა „ევრო-4"-ის სტანდარტი, როგორც ავტომობილებზე, ისე საწვავზე? ჩვენთანაც ხომ არ გახდება სავალდებულო ავტოპარკის განახლება? ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილის აზრით, ამ სფეროში ცვლილებები აუცილებელია, მაგრამ ყველაფერს დრო სჭირდება.

**„როდესაც ევროკავშირის წევრები გავხდებით, ავტომობილებისა და საწავავის ხარისხიც დღის წესრიგში დადგება. ჩემი აზრით, სასურველია, ეტაპობრივად მოხერხდეს ჩვენი ნორმების დაახლოება ევროსტანდარტებთან. სხვათა შორის, ეს მთავრობის დადგენილებებშიც არის ჩადებული, ოღონდ ეს თანდათან უნდა მოხდეს. ამ ეტაპზე ჩვენ არავინ გვავალდებულებს, სასწრაფოდ გადავიდეთ იმ სტანდარტებზე, რომლებიც ევროპაში მოქმედებს. მომავალში კი, ქვეყანა ვალდებული იქნება თანდათან, ეტაპობრივად დაუახლოვდეს ევროსტანდარტებს. თუ ევროკავშირის წევრობა გვინდა, ეს უკვე გულისხმობს, რომ იქ არსებული ნორმები უნდა მივიღოთ.**

**თუ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება, მთავრობაც იძულებული გახდება, გარკვეული შეზღუდვები დააწესოს ავტოტრანსპორტის იმპორტსა და რეალიზაციაზე. რაც უფრო ახალია ავტოპარკი, მით უფრო ნაკლებად აბინძურებს გარემოს, მაგრამ როგორც გითხარით, ყველაფერი დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე, მოსახლეობის მატერიალურ შესაძლებლობებზე... შეიძლება მხოლოდ წავახალისოთ ახალი სატრანსპორტო საშუალებების იმპორტი — ეს იქნება საუკეთესო გზა, რომ ახალი ტრანსპორტიც შემოვიდეს და ხალხიც არ დაზარალდეს",** — ამბობს მთვრალაშვილი სააგენტო „ბიპიენთან" საუბრისას.

ამ მოსაზრებას იზიარებს ეკონომიკის ექსპერტი სოსო არჩვაძეც. მომავალში, შესაძლოა, სახელმწიფომ შემოიღოს ისეთი ეკონომიკური სანქციები, რომ ადამიანს ძველი ავტომანქანის შენახვა უფრო ძვირი დაუჯდეს. მაგალითად, იაპონიაში ასეთი წესი აქვთ: რაც უფრო მეტი ასაკისაა მანქანა, მით უფრო მეტია მასზე დაზღვევის გადასახადი.

აზერბაიჯანისთვის არც ევროკავშირს დაუვალდებულებია და არც სხვა გაერთიანებას, მაგრამ 2014 წლის 1 აპრილიდან ამ ქვეყანაში ავტოიმპორტზე გარკვეული შეზღუდვა მოქმედებს. იქ ე.წ. „ევრო-4"-ის სტანდარტია შემოღებული, რაც გულისხმობს, რომ ქვეყნის საბაჟოს 2005 წლამდე გამოშვებული ავტომობილი ვერ გადაკვეთს.

საინტერესოა, რომ საწვავის კომპონენტში ასეთი შეზღუდვა არ დაწესებულა. ქვეყანაში ახლაც „ევრო-2"-ის სტანდარტის ბენზინი იყიდება. ეს იმიტომ, რომ აზერბაიჯანის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა ვერ უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის საწვავის წარმოებას. არადა, ავტომობილების და საწვავის სტანდარტის კონტროლი ერთმანეთზეა მიბმული, თუმცა, ჩვენს მეზობლად ამ საკითხთან თავისებური დამოკიდებულება აქვთ.

აღსანიშნავია, რომ მანქანების ასაკთან დაკავშირებული შეზღუდვა აზერბაიჯანის გარდა, არც ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში არ მოქმედებს (არ იგულისხმება ბალტიისპირეთი). მართალია რუსეთში, ბელორუსში, ყაზახეთსა და აწ უკვე სომხეთში თავისებური შეზღუდვებია, მაგრამ იგი საბაჟო კავშირში დაწესებულ მაღალ ტარიფებს უკავშირდება. ამის გამო, ამ სახელმწიფოებში მესამე ქვეყნებიდან შესულ ავტომობილებზე წარმოუდგენლად დიდი გადასახადი მოქმედებს. შესაბამისად, იქ 90%-ით რუსული წარმოების ავტომობილებს მოიხმარენ.

**ბექა დანელია**

ვითარება

# უღელტეხილების მოულოდნელი პრობლემა

**საქართველოში ყველასთვის მოულოდნელად უღელტეხილების პრობლემა გაჩნდა. ქვეყნის 2 ყველაზე მნიშვნელოვან გადასასვლელზე პერმანენტული პრობლემებია. რიკოთი ბოლო 1 კვირაში 2-ჯერ ჩაიკეტა, დარიალის ხეობაში ჯერჯერობით სათადარიგო გზა მოქმედებს და არავინ იცის ძირითადი სავალი ნაწილი როდის გაიხსნება.**

არადა, ახლა ზაფხულის ტურისტული პერიოდი იწყება და მთელი ქვეყნის მასშტაბით გადაადგილება გააქტიურდება. ცენტრალურ მაგისტრალებზე არსებული პრობლემები კი მგზავრებს და გადამზიდავებს სერიოზულ თავსატეხს გაუჩენს.

ერთ-ერთი ყველაზე გამართული რიკოთის უღელტეხილი ბოლო რამდენიმე დღეში უკვე მეორედ ჩაიკეტა. იქ მოძრაობა კვლავ აკრძალულია. საავტომობილო გზების დეპარტამენტში ჯერ არ იციან, როდის განახლდება უღელტეხილზე საავტომობილო მოძრაობა. საქმე ისაა, რომ სიტუაციას ადგილზე გეოლოგები სწავლობენ.

რიკოთის უღელტეხილის 146-ე კილომეტრზე მეწყერი განმეორებით ჩამოწვა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევთან 3 ათასი კუბური მეტრი მოცულობის მიწისა და კლდის მასის ჩამოშლამ მთლიანად გადაკეტა საავტომობილო გზის სავალი ნაწილი. აღნიშნულ მონაკვეთზე ყველა სახეობის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია. მოძრაობა გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზით ხორციელდება, რომელიც, თავის მხრივ, გამართული არ არის. ამ გზის რამდენიმე კილომეტრზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. რამდენადაც ახლა ავტომობილების დიდი ნაკადი საჩხერე-ჭიათურის მიმართულებით დაიძრა, სარემონტო სამუშაოები შეწყდა. შესაბამისად, ავტომფლობელებს რთულ პირობებში უწევთ გადაადგილება.

პირველად კი გზა 1 კვირის წინათ ჩამოიშალა ამინდის მკვეთრად გაუარესების გამო. რიკოთი 2 დღით დაიკეტა, შემდეგ დაახლოებით ამდენივე დღე გაიხსნა, მაგრამ მიწის ჩამოშლის გამო ისევ დაიკეტა. ბოლო შემთხვევაში მიზეზი უამინდობა არ ყოფილა, ამიტომაც ვითარებას უფრო სერიოზული ანალიზი სჭირდება.

გაცილებით დიდი პრობლემა იყო დარიალის ხეობაში, რაც რამდენიმე კვირის განმავლობაში გაგრძელდა და ახლაც არ არის ბოლომდე გადაწყვეტილი. მართალია, ხეობაში ავტოტრანსპორტის მოძრაობა აღდგენილია, მაგრამ მხოლოდ სათადარიგო გზით და ისიც მუდმივად არა.

საავტომობილო გზების დეპარტამენტში აცხადებენ, რომ დარიალის ხეობაში რუსეთთან დამაკავშირებელ ახლადგახსნილ სათადარიგო გზაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა პერიოდულად შეწყდება. ეს უკავშირდება ყინულის დნობას, რაც გზას ატალახებს და საჭიროა გაწმენდითი სამუშაოები. როგორც დეპარტამენტში აღნიშნეს, დასუფთავების სამუშაოები დღის განმავლობაში, შესაძლოა, 1 საათი ან ცოტა უფრო მეტხანს გაგრძელდეს.

რაც შეეხება მეწყრის შედეგად 17 მაისს მოწყვეტილ ძირითად გზას, მისი აღდგენის კონკრეტული თარიღის დასახდელება ვერ ხერხდება. გზების დეპარტამენტში აცხადებენ, რომ ამ გზას პროექტირება სჭირდება.

რაც შეეხება სათადარიგო გზის გამტარუნარიანობას, იგი ასე თუ ისე მოგვარებულია. მასზე გადაადგილდებიან სატვირთო ავტომობილები, შესაბამისად, საქართველოსა და რუსეთს შორის სახმელეთო გადაზიდვები აღდგენილია. ის კი არადა, დარიალის დროებითი გზით უკვე ისარგებლეს სომეხმა გადამზიდავებმაც.

**დანიელ ბექაური**

შესაძლებლობები გაიზრდება

# ქართველი მეწარმეები ევროპაში ახალ კომპანიებს დააარსებენ

**ქართული კომპანიებისთვის ევროპული ბაზარი იხსნება. როგორც ცნობილია, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ქართველ მეწარმეებს შესაძლებლობა ექნებათ, საკუთარი პროდუქცია ევროკავშირში შემავალი ქვეყნების ბაზარზე გაიტანონ.**

ამ საკითხთან დაკავშირებით „პალიტრა ტვ"-ის გადაცემა „საქმეში" სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვიცე-პრეზიდენტმა კახა კოხრეიძემ ისაუბრა.

როგორც კოხრეიძემ აღნიშნა, საქართველო ერთიანი ბაზრის ნაწილი ხდება და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ევროკავშირი არის სერიოზული, განვითარებული ეკონომიკების ერთობა, სადაც მაღალი მსყიდველობითი უნარის მქონე მოქალაქეები ცხოვრობენ. კოხრეიძის თქმით, ქართულ კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ, თავიანთი ნაწარმი უფრო ძვირად გაყიდონ.

კახა კოხრეიძე დადებითად აფასებს ევროკავშირთან ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივების გაღრმავებას და ამბობს, რომ ამ ორგანიზაციის 60-წლიანი არსებობის შემდეგ, საქართველოც მიუახლოვდა იმ პრინციპებს, რითაც ერთიანი ბაზრის ნაწილი ხდება.

მისივე ინფორმაციით, ევროკავშირი ისედაც საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. საქართველოს ეკონომიკაში ევროკავშირს ექსპორტის კუთხით 21% უკავია, იმპორტის კუთხით კი — 28%.

კოხრეიძემ ყურადღება გაამახვილა ასევე პროდუქციის ხარისხზეც. მისი თქმით, თუ მუშაობა სწორი მიმართულებით წარიმართება, ქართულ კომპანიებს დიდი ხანი არ დასჭირდებათ იმისთვის რომ ხარისხის ევროპული სტანდარტები დააკმაყოფილონ.

კახა კოხრეიძის განცხადებით, ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ქართველ მეწარმეებს შესაძლებლობა ექნებათ ევროკავშირის ქვეყნებში დააარსონ ახალი კომპანიები ან ჰქონდეთ წარმომადგენლობები.

ცნობისთვის, ევროკავშირი 51 მილიონი ევროს ღირებულების პროგრამას ამზადებს იმისთვის, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების იმპლემენტაციის შესრულებაში მიიღოს მონაწილეობა და მხარი დაუჭიროს მცირე და საშუალო ბიზნესსაწარმოებს, რათა ისინი მოერგონ ამ მარეგულირებელ გარემოს, — ასეთი იყო ევროკომისიის პრეზიდენტის ჟოზე მანუელ ბაროზოს დაპირება ევროკავშირთან ასოციირების ხელმოწერის წინ, რომელიც 27 ივნისს უნდა გაიმართოს.

ბოლო რამდენიმე წელია, საქართველო-ევროკავშირის ვაჭრობის დინამიკა მზარდია და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, იზრდება ექსპორტის მაჩვენებელი. 2014 წლის პირველ ოთხ თვეში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან 14%-ით გაიზარდა და ქვეყნის სავაჭრო ბრუნვის 26% შეადგინა. ამასთან, ექსპორტი გაიზარდა 50%-ით და 194 მილიონი დოლარი შეადგინა.



მთავარი თემა



**მოახლოვდა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის დრო და როგორც მოსალოდნელი იყო, კიდევ უფრო დაიძაბა ვითარება კონფლიქტურ რეგიონებში. რა თქმა უნდა, არავის ჰქონდა ილუზია, რომ ეს პროცესი თავისუფალ და უსაფრთხო გარემოში ჩაივლიდა, მაგრამ...**

**ჯერ იყო და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ე. წ. საზღვრების დადგენა, მავთულხლართების გავლება და „საზღვარის“ უკანონოდ გადაკვეთის გამო მოსახლეობის გატაცება დაიწყო, შემდეგ ვითარება საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზეც გართულდა და ბოლო ერთი კვირის აქტუალურ თემად აფხაზეთში შექმნილი დაძაბული ვითარება გახდა. საკადრო გადაადგილებების და საპროტესტო აქციების შემდეგ, რომელიც ანქვაბის გადადგომის მოთხოვნით იმართებოდა, აფხაზეთის ოპოზიციამ აფხაზეთის ევრაზიულ საბაჟო კავშირში გაერთიანებაც მოითხოვა და რუსეთს ურთიერთობების გაღრმავებისკენ მოუწოდა.**

**აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, „sazogadoeba.ge“ აფხაზეთის უშიშროების ექსმინისტრ გენერალ ლევან კიკნაძეს ესაუბრა:**

# აფხაზ სეპარატისტებს დემოგრაფიული შიში არ უნელდებათ

აფხაზეთში ახალი არაფერი ხდება. მომხდარის არსს, რომ უკეთესად ჩავწვდეთ, დავიწყებ ცოტა შორიდან. საქმე იმაში გახლავთ, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ავტონომიები, შექმნილნი იყვნენ და მოქმედებდნენ, როგორც ნაღმები, რომლებსაც იმპერიული ძალები იმ შემთხვევაში აამოქმედებდნენ, როდესაც ამის აუცილებლობას დაინახავდნენ. როგორც კი რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკის მოსახლეობაში, განსაკუთრებით მისი ელიტის კრეატიულ ნაწილში, საბჭოთა იდეოლოგიისგან განსხვავებული მოსაზრება გაჩნდებოდა, რაც დასავლეთის იდეოლოგიური დივერსიით ინათლებოდა, მაშინვე ამოქმედდებოდა ზემოთ ხსენებული ნელი მოქმედების ნაღმები. ამ ნაღმებიდან ყველაზე ეფექტური ხსენებულ ავტონომიებში ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივება იყო. იმის და მიხედვით, თუ რა პრობლემები ჰქონდა მოცემული დროისთვის ადგილობრივ მოსახლეობას, დირექტივებიც შესაბამისი მოდიოდა კრემლიდან, რათა ავტონომიებისა და შესაბამისი რესპუბლიკის ცენტრალური ხელისუფლების დაპირისპირებას უფრო მწვავე და მასშტაბური ხასიათი მიეღო, რათა აუცილებელი გამხდარიყო მოსკოვის ჩარევა. ყოველი ასეთი ჩარევა კი ცენტრალური ხელისუფლების, ჩვენს შემთხვევაში, თბილისის მხრიდან, ახალ დათმობებს ნიშნავდა, რაც ზოგადად, აფხაზეთში სეპარატიზმის მომძლავრებას უწყობდა ხელს.

აქედან გამომდინარე, მოვლენები აფხაზეთში იმ სცენარის გაგრძელებაა, რომელიც თავის დროზე საბჭოთა სუკის ანალიტიკურ ცენტრებში დაიწერა და რომლის ანალოგსაც ბევრს შეხვდებით არა მარტო ამ კუთხით, არამედ სხვა ბევრი შემთხვევისთვისაც კრემლის დაკვეთით დაგეგმილ და განხორციელებულ სპეცღონისძიებების არსენალში.

**— რამ გამოიწვია აფხაზეთში ხელისუფლების ცვლილება? როგორ ფიქრობთ, რუსეთმა რაიმე საფრთხე იგრძნო ანქვაბის ხელისუფლებისგან?**

— აფხაზეთში ხელისუფლების ვადამდელი და ისიც ძალისმიერი მეთოდებით შეცვლა მარტივი ასახსნელი არ არის. იგი მრავალ სერიოზულ ფაქტორთან არის დაკავშირებული. აქედან მთავარი ის არის, რომ კრემლმა დაგვანახა ჩვენც და მთელ საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ აფხაზეთის დათმობას არ აპირებს, არც იმას დაუშვებს, რომ ვინმემ, მით უმეტეს აფხაზეთის პრეზიდენტმა, ფიქრიც კი გაბედოს ამ საკითხზე. ანქვაბი კი, როგორც ცნობილია, პრაგმატულად მოაზროვნე ადამიანია, რომელსაც, შესაძლოა, გაებედა და დამოუკიდებლად ეწარმოებინა კონსტრუქციული დიალოგი ქართულ მხარესთან.

**— ანქვაბი სწორად მოიქცა, რომ გადადგა?**

— ანქვაბი არ არის სეპარატისტი, ის არის აფხაზი კაცი, რომელიც იცავს აფხაზების ინტერესებს და ფიქრობს მათ მომავალზე. მას ძალიან კარგად ესმოდა, რომ თუ ხაჯიმბასა და მისგან მართული ოპოზიციის წინააღმდეგ ძალას გამოიყენებდა, სისხლისღვრას ვერ აცდებოდა, რასაც აფხაზი ხალხი ანქვაბს არ აპატიებდა. მას არც ხელისუფლების ძალით შენარჩუნება უნდოდა. მით უმეტეს, როდესაც მოსკოველმა მაღალჩინოსანმა მომრიგებლებმა თავიანთი განაცხადით, რომ არ აპირებდნენ აფხაზეთის საშინაო საქმეებში ჩარევას, აგრძნობინეს, რომ მისი საქმე დამთავრებული იყო და წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. მან ვაჟკაცური გადაწყვეტილება მიიღო და გადადგა.

**— საპროტესტო აქციების ჩატარების ერთ-ერთი მიზეზი ეთნიკურად ქართველი მოსახლეობისთვის აფხაზური პასპორტების უკანონო გაცემა იყო. როგორ ფიქრობთ, რატომ ეწინააღმდეგებიან ქართველებისთვის აფხაზური პასპორტების გაცემას?**

— საყოველთაოდ ცნობილია, რომ აფხაზეთში ჩატარებულ ყველა დონის არჩევნებში გალის მოსახლეობის ხმებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. გალელები კი უპირატესობას იმ აფხაზ ლიდერს ანიჭებდნენ, რომელიც ლოიალურად იყო განწყობილი ქართველების მიმართ, უფრო სწორად, გალელ ქართველებში მხოლოდ მუშახელს და აფხაზების მომსახურეებს არ ხედავდნენ. ხაჯიმბას და მის მომხრეებს არძინბას დროინდელი ვითარების შემობრუნება სურთ და ქართველების სახით ხელოვნურად შეკოწიწებული „მტრის ხატი“, რომელიც ხელში ადნებათ, უნდათ ისევ აქტუალური გახადონ. პასპორტების ჩამორთმევით, გარდა იმისა, რომ ქართველებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ერთმევათ, სეპარატისტები ამგვარი ფანდით იმ მარადიული შიშის დაძლევასაც ფიქრობენ, რაც მუდამ აღელვებთ, ეს კი , როგორც ცნობილია, დემოგრაფიული შიშია. აფხაზეთის ქართველი მოსახლეობა, ამჟამად, ძველი და ახალი გალის რაიონების ხარჯზე, აფხაზების რაოდენობას თითქმის გაუტოლდა. გალის რაიონის სოფლის მოსახლეობა კი მატერიალურად ყველაზე შეძლებულია აფხაზეთში. ამიტომ არ არის გამორიცხული და ასეც იქნება, რომ სეპარატისტები შიშობენ მათთვის აფხაზური პასპორტების დატოვებით, იმავდროულად აფხაზეთის ნებისმიერ კუთხეში უძრავი ქონების შეძენის უფლებასაც უტოვებენ, რაც დემოგრაფიულ ვითარებას ისევ აფხაზებისთვის საზიანოდ შემოაბრუნებს. წარმოსადგენადაც კი ძნელია, თუ როგორი ასატანი გახდება ასეთი კატეგორიებით მოაზროვნე გონებადახშული სეპარატისტებისთვის იმის გაფიქრებაც კი, რომ ქართველები, მათივე ხელშეწყობით გაგრაში, გუდაუთაში, სოხუმში, გულრიფშში, ოჩამჩირეში მასიურად დაიწყებენ უძრავი ქონების შეძენას.

**— ბევრი პოლიტოლოგი, არასამთავრობო ორგანიზაციები და ოპოზიციის წარმომადგენლები აკრიტიკებენ საქართველოს ხელისუფლებას და მიიჩნივენ, რომ მთავრობა სათანადოდ არ რეაგირებს აფხაზეთის მოვლენებზე. თქვენ როგორ შეაფასებთ მთავრობის დამოკიდებულებას?**

— რა უნდა მოიმოქმედოს საქართველოს ხელისუფლებამ, პროტესტი გამოთქვას იმის გამო, რატომ ართმევთ გალის მოსახლეობას პასპორტსო? რადგან ამ პასპორტს უკანონოდ მივიჩნევთ, შესაბამისად, მისი გაცემაც და წართმევაც უკანონოა. ჩვენ ვერ გამოვთქვამთ პროტესტს იმის გათვალისწინებით, რომ პასპორტი დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ატრიბუტია და გამოვა, რომ რაღაც ასპექტში მაინც ვაღიარებთ აფხაზეთის დამოუკიდებლობას. აქედან გამომდინარე, ქართული მხარე ამ საქმეში ვერ ჩაერევა. აფხაზეთში რადიკალი სეპარატისტები კი გაიძახიან ქართველები უნდა გავდევნოთო. ხაჯიმბამაც თქვა, ასე ამბობენო, მაგრამ არსად არ არის აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ოფიციალური განცხადება, რომ ისინი აპირებენ ქართველების გამოდევნას, ამიტომ ჩვენ წინასწარ ვერაფერს ვერ ვიტყვით.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, აფხაზები ასეთ ნაბიჯს გადადგამენ?**

— მე სხვანაირად ვფიქრობ. არ მგონია, რომ აფხაზები ამაზე წავიდნენ. თუ ისინი ამაზე წავიდნენ, მაშინ ეს იქნება ყველაზე დამღუპველი ნაბიჯი მათთვის. ამ თემას მოდით, ნუღარ გავაგრძელებთ, ვნახოთ, დავაკვირდეთ.

**— რამდენიმე პოლიტოლოგის ვარაუდით, აფხაზეთის „ევრაზიულ კავშირში“ გაწევრიანება გაზრდის იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებიც აღიარებენ აფხაზეთის დამოუკიდებლობას. თუ მოვლენები მართლაც ასე განვითარდა, რა გავლენას მოახდენს ეს საქართველოზე?**

— აფხაზებს უნდათ „ევრაზიის კავშირში“ შესვლა, რადგან ეს აძლევთ მათ საშუალებას, აფხაზეთი განიხილებოდეს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო პოსტსაბჭოთა სივრცის ნაწილში მაინც. იგივე არეალში, რუსეთის არეალში, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი ქვეყანა. რადგან მისი დამოუკიდებლობა არ სცნო დასავლეთმა, უნდათ, რომ „ ევრაზიის კავშირის“ სტრუქტურაში მაინც სცნონ, რაც ჩემი აზრით, არ იქნება ჩვენთვის მომგებიანი.

**— თქვენ როგორ გესახებათ აფხაზეთის დაბრუნება? როგორ შეიძლება დაიწყოს ეს პროცესი და რამდენად მომგებიანი იქნება ამ პროცესში კულტურული ღონისძიებები?**

— კულტურული და ჰუმანიტარული ღონისძიებები არ არის ძირითადი განმსაზღვრელი, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ნამდვილად არის. ნათესაური კავშირების აღდგენა, სახალხო დიპლომატია, კულტურული და სპორტული ღონისძიებები, ყველაფერი ეს ადამიანების დაახლოებას, მათ შორის ნდობის გაჩენას უწყობს ხელს, რაც კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად უნდა იყოს მიჩნეული და ხელისუფლების უპირველესი საზრუნავიც ეს უნდა იყოს. მე მაგალითად ვთვლი, რომ ბაღაფშ-ანქვაბის მმართველობის პერიოდში ამ კუთხით ბევრი რამის გაკეთების შესაძლებლობა დაიკარგა. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა პოზიციას დაიჭერს ახალი დე ფაქტო პრეზიდენტი და რა კურსს აირჩევს მოსკოვი 27 ივნისის შემდეგ, ახალი რეალობების გათვალისწინებით.

**— ე.წ. „საპრეზიდენტო არჩევნები“ 24 აგვისტოს დაინიშნა, თუმცა, კანდიდატები ჯერჯერობით ცნობილი არ არის. როგორ ფიქრობთ, ვინ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას?**

— იმისათვის, რომ ე. წ არჩევნებს დემოკრატიულობის იერი მისცენ, აუცილებლად რამდენიმე კანდიდატს დააყენებენ. მაგრამ, ჩემი აზრით, ყოველშემთხვევაში დღეს, ამ აზრზე ვარ, ხაჯიმბას ალტერნატივა არ ჰყავს.

**ქეთი ჟურული**

## დედამიწის ზურგზე



**რუსეთისა და ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალები ბალტიისპირეთის ცაზე გაითიშნენ**

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ ჰაერში გაუშვა გამანადგურებლები Typhoon, როდესაც ბალტიისპირეთის ცაზე შენიშნეს „მრავალრიცხოვანი“ რუსული თვითმფრინავები, რომლებიც საწვრთნელ ფრენას ასრულებდნენ. მოგვიანებით, იგივე ბრიტანულმა გამანადგურებლებმა გადაიფრინეს ესტონეთის დედაქალაქზე დედოფალ ელისაბედ მეორის ოფიციალურ დაბადების დღესთან დაკავშირებით.

* * *

**უკრაინის პარლამენტს განზრახული აქვს, ხმა მისცეს სამხედრო მდგომარეობის შემოღებას დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში**



პრეზიდენტისადმი მიმართული ტექსტის თანხმად, რომელიც განხილული იქნება უმაღლეს რადაში, შემოთავაზებულია, უზრუნველყონ „უკრაინის სახელმწიფო საზღვრების სრული გადაფარვა რუსეთის ფედერაციასთან“ და „მოახდინონ კონსულტაციების ინიციირება რუსეთთან სავიზო რეჟიმის შემოღების შესახებ“. იმისთვის, რომ მიღებული იქნას მიმართვა, მას ხმა უნდა მისცეს სულ ცოტა 226 დეპუტატმა.

* * *

**ავსტრალიამ შემოიღო დაპირებული სანქციები რუსეთთან დაკავშირებით უკრაინაში შექმნილი სიტუაციის გამო**

ავსტრალიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა 50 რუსეთელისა და 11 კომპანიის წინააღმდეგ სანქციების შემოღების შესახებ უკრაინაში შექმნილი სიტუაციის გამო. სიაში მოხსენიებული არიან რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრემიერი დმიტრი როგოზინი, ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე ვალენტინა მატვიენკო, სახელმწიფო დუმის სპიკერი სერგეი ნარიშკინი და ბევრი სხვა.

* * *

**ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკრაინას კორუფციასთან ბრძოლისათვის 10 მილიონი დოლარი გამოუყო**

განზრახვის შესახებ — გამოყონ უკრაინის ხელისუფლებას სათანადო სახსრები კორუფციასთან ბრძოლისათვის — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა რაჯივ შახმა კიევში ოფიციალური ვიზიტის დროს. მისი სიტყვებით, ფული იგეგმება დაიხარჯოს სხვებთან ერთად სახელმწიფო შეკვეთების განთავსების გამჭვირვალე სისტემის შექმნისა და ენერგეტიკული სფეროს რეგულირებისათვის.



ტურისტული ბიზნესი

**ეკონომიკაში ტურიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, თუმცა, ამ სფეროს წარმომადგენლებსაც აქვთ პრობლემები, რომლებიც მათ საქმიანობას აბრკოლებს. სწორედ ამიტომ, ტურისტული ბიზნესის წარმომადგენლები დაბეგვრის შეღავათიან რეჟიმს და ქონების სეზონური გადასახადის დაწესებას მოითხოვენ.**

# რეგიონების სასტუმროებში

# „სუფთად“ მუშაობა ძალიან ძნელია



**bpn.ge სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაციის დამფუძნებელს შალვა ალავერდაშვილს ესაუბრა. როგორც რესპონდენტი ამბობს, მისმა ორგანიზაციამ სპეციალური კანონპროექტი შეიმუშავა და თავისი რეკომენდაციები უკვე მთავრობასაც წარუდგინა:**

— საქართველო სეზონური ქვეყანაა, ამიტომ, პირველ რიგში გასარკვევია საკითხი, თუ რას ნიშნავს სეზონი. ზღვაში რომ ჩახვალ, ან მთაში ახვალ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში ტურისტული სეზონი დაიწყო. ცივილიზებულ მსოფლიოში სეზონის გახსნა ეკონომიკური საქმიანობის დაწყებას ნიშნავს, ხოლო დახურვა — ამ საქმიანობის დასრულებას. ფშავ-ხევსურეთის, სვანეთის, რაჭის, ან მთის სხვა რეგიონების სასტუმროებში ძალიან ძნელია იმუშაო „თეთრად“, ანუ სრული ბუღალტერია აწარმოო. არავინ ააშენებს მთა-თუშეთში, ან ხევსურეთში სასტუმროს იმისათვის, რომ ორი თვე ამუშაოს და მერე ათი თვის განმავლობაში ზედიზედ ქონების გადასახადი იხადოს. ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ ეს ალოგიკური იქნება და არც ერთი ინვესტორი ასეთ საქმეში თანხას არ ჩადებს. ავიღოთ თუნდაც ურეკი, ქობულეთი, ან ზღვისპირა კურორტები, რომელთა დიდი ნაწილი ზამთარში გაჩერებულია. ამიტომ, პირველ რიგში სეზონის დაწყება უნდა გამოცხადდეს და სასტუმროებს ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით უნდა დაუწესონ ქონების გადასახადი: ადამიანი ამ ქონებას იყენებს მხოლოდ ორი თვე, დანარჩენი ათი თვის განმავლობაში კი საკუთარი ქონების გამო გადასახადს იხდის. ძალიან დიდ შეცდომად მიმაჩნია ის, რომ თბილისის „რედისონისა“ და მთა-თუშეთის სასტუმროსათვის საგადასახადო რეჟიმი ერთნაირია. ამიტომ, თუ ჩვენს ქვეყანაში ბიზნესგარემოს გაუმჯობესება გვინდა, ცუდი არ იქნება, სასტუმროებს ეს შეღავათი დავუწესოთ. ამგვარი შეღავათები საჭირო და აუცილებელია იმისათვის, რომ სასტუმროების ბიზნესი რეგიონებშიც განვითარდეს. მე თვითონ სასტუმრო „ბორჯომი პალასის“ გენერალური მენეჯერი ვარ და კარგად ვიცი, რა პრობლემებიცაა ამ სფეროში. ნუთუ ასე ძნელია, რომ მთელი წლით არ დაიბეგროს ის სასტუმროები ან რესტორნები, რომლებიც სრული დატვირთვით მხოლოდ ორი ან სამი თვის განმავლობაში მუშაობენ? მთავრობას ჩვენი რეკომენდაციები უკვე მივაწოდეთ და იმედი გვაქვს, რომ იმ შეღავათებს მივიღებთ, რომელსაც უკვე დიდი ხანია, ვითხოვთ და ეს შეღავათები სულ მალე აისახება საგადასახადო კოდექსში.

**— ამ ტიპის შეღავათები მთელ მსოფლიოშია მიღებული, — გვითხრა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ რუსუდან მამაცაშვილმა.**

— ჩვენ მივესალმებით დაბეგვრის დიფერენცირებული სისტემის შემოღებას იმ მიზნით, რომ რეგიონებში გაჩნდეს სტიმული ამ დარგის განვითარებისათვის. შეღავათიანი გადასახადები მომავალში კიდევ უფრო წაახალისებს ახალი სასტუმროების მშენებლობას და ამ დარგის განვითარებას. ლაპარაკია ქონების გადასახადზე, რომლის ამოღებაც უმჯობესია, სეზონურად ხდებოდეს. მოწინავე ტურისტული ინდუსტრიის მქონე ქვეყნებში სხვადასხვა მექანიზმები არსებობს. მაგალითად, ავსტრიაში დაბეგვრის საკმაოდ რთული სისტემაა: იქ გათვალისწინებულია არ მარტო სეზონურობა, არამედ სასტუმროს მდებარეობაც — მთაში მდებარე სასტუმრო სხვანაირად იბეგრება, ხოლო ბარში მდებარე — სულ სხვაგვარად. ზოგ ქვეყანაში მთის, ან ცალკე მდგომი სასტუმროები განსაკუთრებული შეღავათებით სარგებლობს. ამერიკაში კი სულ სხვა სისტემაა: იქ სასტუმრო გარკვეულ პროცენტს იხდის და ეს თანხა ყველა გადასახადს აერთიანებს. ძალიან ბევრი კარგი მაგალითი გვაქვს საერთაშორისო პრაქტიკაში და ჩვენც ვცდილობთ, ამ მაგალითების შეჯერება შევძლოთ. ჯერჯერობით ამ საკითხის განხილვა მიმდინარეობს: მსოფლიო პრაქტიკიდან საუკეთესო მაგალითებს გავითვალისწინებთ და მომავალში შესაძლებელია, ეს მაგალითები ჩვენს რეალობაშიც დაინერგოს.

სასტუმროების სეზონური დაბეგვრის მომხრეა ეკონომიკის ექსპერტი ვაჟა ბერიძეც. როგორც ბატონმა ვაჟამ bpn.ge-თან საუბრისას განაცხადა, ის ქობულეთიდანაა, ძალიან ბევრ მის ნაცნობს აქვს საოჯახო სასტუმრო, რომელიც შემოსავალს რამდენიმე თვის განმავლობაში იძლევა, მაგრამ ეს ადამიანები ქონების გადასახადს მთელი წლის განმავლობაში იხდიან:

— აბსოლუტურად ბუნებრივი და ლოგიკურია, რომ საოჯახო სასტუმროები დაიბეგროს იმ რეჟიმით, რომელიც მათ ფუნქციონირებას მაქსიმალურად შეუწყობს ხელს. მათ ყველანაირი შეღავათი უნდა ჰქონდეთ. აქედან გამომდინარე, სავსებით გამართლებული და სწორი იქნება, თუ სასტუმროები სეზონურად დაიბეგრებიან. ეს იქნება იმ შემოსავლის ადეკვატური, რაც ამ სასტუმროებს აქვთ. მით უფრო, რომ საოჯახო სასტუმროების მფლობელთა ძალიან დიდი ნაწილი უმუშევარია და ამ შემოსავლით საზრდოობს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ ყოველთვის უნდა შეუწყოს ხელი მათ ფეხზე დადგომას. მე ქობულეთელი ვარ და კარგად ვიცი ამ სფეროს მუშაკთა პრობლემები. არა მარტო ქობულეთში, არამედ მთაში, სხვა კურორტებზეც მათი წახალისება აუცილებელია. სახელმწიფომ საგადასახადო სისტემაც ამ ინდუსტრიის განვითარებას უნდა მიუსადაგოს და ყოველმხრივ უნდა წაახალისოს ტურისტების ნაკადის შემოსვლა ქვეყანაში. როდესაც საქართველოში სერიოზული ტურისტული ინდუსტრია ჩამოყალიბდება, როდესაც ძველ, ტრადიციულ ქვეყნებთან ერთად ჩვენთან ტურისტების ნაკადი ევროპის ქვეყნებიდანაც შემოვა, ამ სასტუმროების შემოსავალიც გაიზრდება და მათთვის გაწეული შეღავათი ქვეყანას უკან სასიკეთოდ დაუბრუნდება. ამისათვის საჭიროა მეტი გამჭრიახობა, საჭიროა ზრუნვა იმაზე, რომ ქვეყანაში შემოსული სტუმრებისათვის უფრო მაღალი დონის სერვისი გვქონდეს, უფრო კარგად ვიღებდეთ მათ და ტურისტული ინფრასტრუქტურაც უკეთესად იყოს მოწესრიგებული. მით უმეტეს, რომ ჩვენი ქვეყნის კურორტებზე ამ მხრივ სერიოზული პრობლემებია.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

# განცხადება

## აუქციონის შესახებ

**2014 წლის 30 ივნისს, 11.30 საათზე, მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7, II სართული, საგამოფენო დარბაზში, ჩატარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ (ს/ნ 216291527) საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის რეალიზაცია:**

გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

- სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ (ს/ნ 216291527) საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი — მდებარე: ქ.რუსთავი, ქუჩა მშენებელთა, №66, დაზუტებული ფართობი: 29,360.00 კვ.მ., შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა-ნგებობა **№1** - განაშენიანების ფართით 333.4 კვ.მ., შენობა-ნაგებობა **№2** - განაშენიანების ფართით 3027.19 კვ.მ., შენობა-ნაგებობა **№3** - განაშენიანების ფართით 2351.78 კვ.მ., შენობა-ნაგებობა **№4** - განაშენიანების ფართით 171.35 კვ.მ., შენობა-ნაგებობა **№5** - განაშენიანების ფართით 1897.35 კვ.მ., შენობა-ნაგებობა **№6** - განაშენიანების ფართით 652.09 კვ.მ., შენობა-ნაგებობა **№7** - განაშენიანების ფართით 140.51 კვ.მ., **№8** - განაშენიანების ფართით 198.85 კვ.მ., შენობა-ნაგებობა **№9** - განაშენიანების ფართით 174.9 კვ.მ., შენობა-ნაგებობა **№10** - განაშენიანების ფართით 29.89 კვ.მ., შენობა-ნაგებობა **№11** - განაშენიანების ფართით 28.54 კვ.მ., შენობა-ნაგებობა **№12** - განაშენიანების ფართით 59.85 კვ.მ., შენობა-ნაგებობა **№13** - განაშენიანების ფართით 63.06 კვ.მ., შენობა-ნაგებობა **№14** - განაშენიანების ფართით 63.94 კვ.მ., შენობა-ნაგებობა **№15** - განაშენიანების ფართით 21.71 კვ.მ., შენობა-ნაგებობა **№16** - განაშენიანების ფართით 38.21 კვ.მ., შენობა-ნაგებობა **№17** - განაშენიანების ფართით 27.41 კვ.მ., შენობა-ნაგებობა **№18** - განაშენიანების ფართით 187.56 კვ.მ., მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: **02.07.02.010;**

  უძრავი ნივთის საწყისი ფასია: 163,997.39 (ას სამოცდასამი ათას ცხრაას ოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და ოცდაცხრამეტი თეთრი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში გადახდის დღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი - სს „თიბისი ბანკი“.

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც ვაჭრობაზე დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს სს „თიბისი ბანკში“ შემდეგ ანგარიშზე **GE30 TB11 0045 0113 0055 55**, რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის მესაკუთრე.

### საჯარო შეტყობინება აუქციონის შესახებ სს „რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს“ (ს/ნ 216291527) და ბადრი წილოსანს (პ/ნ 01007001156)

ეცნობოს სს „რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს“ (ს/ნ 216291527), ბადრი წილოსანს (პ/ნ 01007001156), რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია, აუქციონის შესახებ, ითვლება მათთვის საჯარო შეტყობინებად. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უწყება (შეტყობინება) მხარეებისათვის ჩაბარებულად ითვლება მისი გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

**სპეციალისტი სს „თიბისი ბანკი“.**

**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7**

აბა, როგორ!..

# დიახ, „საქართველო“ არის ესე!

ერთი წლის წინათ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ჩვენი წერილი: „სხვა საქართველო სად არის?! ანუ რა უნდა ეწოდოს ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს ყველა ენაზე!“ მასში გაანალიზებული იყო ჩვენი ქვეყნის სახელწოდების ფორმირების ისტორია მსოფლიოს ხალხების მრავალ ენაზე, უძველესი პერიოდიდან დღემდე. გავარკვიეთ და ვთქვით, რომ ჩვენს ქვეყანას ერთხელ და სამუდამოდ, ნებისმიერ ენაზე უნდა ეწოდოს: **„საქართველო!“**

სამწუხაროდ, ამ საკითხთან დაკავშირებით, ქვეყნის არც ერთ სახელმწიფო სტრუქტურას და, წარმოიდგინეთ, არც შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებებს, თავიანთი პოზიცია დღემდე არანაირი ფორმით არ ჩამოუყალიბებიათ.

ასეთ პირობებში ძალზე სასიხარულოა საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ბატონ ნოდარ ხადურის სატელევიზიო ინტერვიუდან მიღებული ინფორმაცია, რომ იაპონიის სახელმწიფომ, საქართველოს ისტორიაში პირველმა, ოფიციალურ დოკუმენტში, ჩვენი ქვეყანა მოიხსენია როგორც **„საქართველო“!**

ეს ერთი და სხვა მრავალი! იაპონიას სხვა სახელმწიფოებმაც უნდა მიბაძონ!

**ანზორ ბაბუხადია,**

„დედაენის“ საზოგადოების დამფუძნებელთაგანი, „ღირსების ორდენოსანი“, იაკობ გოგებაშვილის მედლისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი

⊙ მუნდიალი – 2014

# მეფე მოკვდა! გაუმარჯოს მეფეს!



**მაშინ, როცა ხუან კარლოსმა სამეფო ტახტი პრინც ფილიპეს დაუთმო, ესპანელთა მონაწილეობით კიდევ ერთი მონარქისტული გადატრიალება მოხდა.**

მას არც სისხლი მოჰყოლია და არც ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, თუმცა, ამ უკანასკნელის შანსი, კატალონიაში შემოდგომაზე გასამართი რეფერენდუმის გათვალისწინებით, ნამდვილად არსებობს.

ამჯერად საუბარია ბრაზილიაში მიმდინარე მსოფლიოს XX საფეხბურთო ჩემპიონატზე, სადაც ჯგუფური რაუნდის მეორე ტურის შემდეგ გაირკვა, რომ პლანეტას 13 ივლისს ახალი გვირგვინოსანი ეყოლება.

**„ბ“ ჯგუფი**
**ესპანეთი – ჩილე 0:2**
**ჰოლანდია – ავსტრალია 3:2**

დელ ბოსკემ ტაქტიკური მოსაზრებით ხავი სათადარიგოთა სკამზე დატოვა და ბრძოლა ორი საყრდენი ნახევარმცველით დაიწყო, თუმცა, დივიდენდები არც ასეთმა ნოვაციამ მოუტანა და კაპიტულაციას ხელი ჯერ კიდევ შესვენებაზე მოაწერა, როცა ერთ-ერთი მათგანი – ხაბი ალონსო რეზერვში გადაისროლა.

პირენეელთათვის საუბედუროდ, შეხვედრის ბედი ამ დროისთვის უკვე გადაწყვეტილი იყო, რაც მოვლენათა განვითარების ლოგიკურ დასასრულს წარმოადგენდა.

დიახ, სამხრეთამერიკელებმა პირველივე წუთიდან პრესინგის მარწუხებში მოაქციეს აწ უკვე ყოფილი ჩემპიონები და უამრავი შეცდომა დააშვებინეს, მათ შორის ისეთ წმინდა „ესპანურ“ კომპონენტში, როგორიც ახლო მანძილზე გადაცემებია, ეს კი უმკაცრესი განაჩენის ტოლფასი აღმოჩნდა.

როცა ურემი გადაბრუნდა, „ფურია როხას“ ფიასკო ზოგმა მოტივაციის დეფიციტს მიაწერა, ზოგმა გადატვირთული სეზონის რეციდივად მიიჩნია. და ზოგმაც ყველაფერი მწვრთნელის სელექციურ ლაფსუსებს დააბრალა. ჯერ სადა ხართ – როცა ემოციები დაცხრება, კიდევ არაერთ არგუმენტს მოვისმენთ, მაგრამ ამით აღარაფერი შეიცვლება – ფეხბურთის ისტორიაში აქამდე არნახული აღზევების ავტორები პირნათელნი ემშვიდობებიან ოლიმპს.

**„ა“ ჯგუფი. კამერუნი – ხორვატეთი 0:4.**

**გიორგი შოთაძე**

⊙ ჭიდაობა

# კატოვიცედან - ხუთი მედლით

**3 ოქრო და 2 ვერცხლი – ასეთი შედეგით დაასრულა პოლონურ კატოვიცეში გამართულ ახალგაზრდა მოჭიდავეთა ევროპის პირველობაზე გამოსვლა საქართველოს ნაკრებმა, რომელსაც სახელოვანი ფალავანი გიორგი გოგშელიძე უდგას სათავეში. ტურნირის პირველ დღეს, როგორც გაუწყეთ, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ტარზან მაისურაძე (74 კგ), ხოლო გიორგი ბრეგაძე (60) ფინალში დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.**



პირველობის მეორე დღეს ჩვენი ბიჭები ოთხივე წონითი კატეგორიის ნახევარფინალში გავიდნენ. სამმა მოჭიდავემ მედლები მოიპოვა – ორი ოქრო და ერთი ვერცხლი: ევროპის ჩემპიონები გახდნენ ომარ გურჯიძე (66) და მძიმეწონოსანი გენო პეტრიაშვილი, ხოლო გიორგი ჩხარტიშვილმა (84) გადამწყვეტი პაექრობა დათმო და ვერცხლს დაყაბულდა.

ყველაზე დამაჯერებლად გორელმა გენო პეტრიაშვილმა იჭიდავა -ფინალამდე ყველა შეხვედრა ქულათა დიდი უპირატესობით ანუ სუფთად მოიგო. აზერბაიჯანელ ოიან ნაზარიანს 35 წამში აჯობა – 10:0, გერმანელ ილია ლიტვინოვს, ვისაც შარშან ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობაზეც იოლად გაუსწორდა, 12:1 სძლია, ნახევარფინალში რუსთა გუნდის წევრი ყაზბეგ ხუბულოვი დაჯაბნა – 10:0 და ფინალში თურქ ემრე დედე იუნუსს დაუპირისპირდა. ეს შეხვედრა პეტრიაშვილმა 10:3 მოიგო და ახალგაზრდებში ზედიზედ მეორედ გახდა კონტინენტის ჩემპიონი.

კარგად იჭიდავა ქუთაისელმა ომარ გურჯიძემაც – ფინალამდე ყველა შეხვედრაში აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა: ჯერ მასპინძელ კამილ რუბიცკის სძლია – 12:2, მერე - იტალიელ ჯანლუკა კოკოს – 11:0 და გერმანელ ანდრეას ვალტერს – 11:1. ფინალში იგი აზერბაიჯანელ მურად სულეიმანოვთან არკვევდა ურთიერთობას. დაძაბული და დრამატული პაექრობა ფრედ – 5:5 დასრულდა. ჩვენებურმა ბოლო ქულის წყალობით პირველად მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა.

თბილისელი გიორგი ჩხარტიშვილი წლევანდელი „ჩემპიონთა თასის“ გამარჯვებული და მსოფლიოს პირველობაზე წასვლის უმთავრესი კანდიდატია. კატოვიცეში მან ზედიზედ დაამარცხა რუსი ასლან ბიბულატოვი – 10:2, თურქი ფათიხ ერდინი – 5:4, იტალიელი ვილიამ რაფი – 10:0, ბელარუსი ალიბეკ შადაუ – 16:3, მაგრამ ფინალში აზერბაიჯანელ ნურმაგომედ გაჯიევთან ვერაფერს გახდა, 6:8 წააგო და მეორე ადგილზე გავიდა.

**ლაშა დიდია**

⊙ მძლეოსნობა

# 15 ქვეყანა, 508 მონაწილე

**21-22 ივნისს თბილისი მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატის მე-3 ლიგის გუნდურ პირველობას უმასპინძლებს. შეჯიბრებაში 15 ქვეყნის (ალბანეთი, ანდორა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, კვიპროსი, საქართველო, ისლანდია, ისრაელი, ლუქსემბურგი, მოლდოვა, მაკედონია, მალტა, ჩერნოგორია და ევროპის პატარა ქვეყნების (სან მარინო, გიბრალტარი, ლიხტენშტეინი) მძლეოსნობის ასოციაცია) 508 სპორტსმენი იასპარეზებს. ორი საუკეთესო გუნდი უმაღლეს ეშელონში აღზევდება. თითოეულ სახეობაში ყველა ქვეყნიდან ერთი სპორტსმენი გამოვა. ამ შეჯიბრებაზე საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ:**



**100 მეტრზე** რბენაში – მარიამ ბედუკაძე, ბაჩანა ხორავა, **200 მ** – მარიამ ბედუკაძე, იოსებ მარუქაშვილი, **400 მ** – მარი მარტინენკო, ნიკა კარტავცევი, **800 მ** – თინათინ პაპუაშვილი, ანდრანიკ მატინიანი, **1500 მ** – თინათინ პაპუაშვილი, მერაბ ქინიძე, **3000 მ** – ნიემ პაპიკიანი, დავით ხარაზიშვილი, **5000 მ** – გიული დეკანაძე, დავით ხარაზიშვილი, **110 მ/თარჯებით** – მაიკო გოგოლაძე, დავით ილარიანი, **400 მ/თარჯებით** – დენის ჟვანია, ელენე ხუსკივაძე, **3000 მ წინაღობებით** – გიული დეკანაძე, ჯეირან ხოფერია, **4X100 მ ქალები.** სოფო შალაშვილი, მარიამ ბედუკაძე, ალექსანდრა მშვიდობაძე, თათია პაიკიძე; **ვაჟები.** ბაჩანა ხორავა, იოსებ მარუქაშვილი, ნიკა კარტავცევი, ირაკლი აშორტია; **4X400 მ ქალები.** ელენე ხუსკივაძე, ალექსანდრა მშვიდობაძე, მარიამ ბედუკაძე, მარი მარტინენკო; **ვაჟები.** ნიკა კარტავცევი, ენდრიკ ზილბერშტეინი, დენის ჟვანია, ანდრანიკ მატინიანი. **სიგრძე.** მაიკო გოგოლაძე, ბოლესლავ სხირტლაძე, **სამმაგი.** თათია პაიკიძე, გოგა მაღლაკელიძე, **სიმაღლე.** ნინო კობაიძე, ზურაბ გოგოჭური, **ჭოკით ხტომა.** ქრისტინა ზოლოტუხინა, ბესო ხუსკივაძე, **ბადრო.** ნანი პაკელიანი, ილია მარტყოფლიშვილი, **შუბი.** ლალი კალაძე, როსტომ ჭინჭარაული, **ბირთვი.** სოფო შათირიშვილი, ბენიკ აბრამიანი, **ურო.** ლიკა გალუზინსკაია, გოგა ჭიხვარია.

**ლექსო ცინცაძე**

⊙ სოლიდარობა

# რონალდო საპროტესტო აქციას უერთდება

**ადრეც ვწერდით, რომ ბრაზილიის ქალაქებში მილიონზე მეტი ადამიანი გამოდიოდა საპროტესტო აქციებზე, რომლებიც მათ ქვეყანაში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებისთვის გაწეული ხარჯების გიგანტურ მასშტაბებს აპროტესტებდნენ.**



მათ კრიტიკას არაერთი ცნობილი სპორტსმენი შეუერთდა და ერთ-ერთი მათგანი მათივე თანამემამულე რონალდოა, რომელსაც ეჭვი შეაქვს მუნდიალის ორგანიზატორთა კომპეტენტურობაში. იგი ტურნირისთვის მზადების გარშემო შექმნილ სიტუაციას სამარცხვინოს უწოდებს.

„2014 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი ბრაზილიის 12 ქალაქში 12 ივნისიდან 13 ივლისამდე იმართება და ამ ყველაფერს ჩვენი ქვეყანა ღირსეულად უძლვება. დარწმუნებული ვარ, ერთ-ერთი საუკეთესო მასპინძლები ვიქნებით“, – აღნიშნა ბრაზილიის პრეზიდენტმა დილმა რუსეფმა რონალდოს კრიტიკის საპასუხოდ.

**მანუჩარ გიორგაძე**

⊙ მეორედ დაბადება

# შუმახერი ხანგრძლივ რეაბილიტაციას იწყებს

**მიხაელ შუმახერმა სიცოცხლისთვის ბრძოლის პირველი, ყველაზე რთული ეტაპი მოიგო – ის კომაში აღარაა და სარეაბილიტაციო კურსისთვის გრენობლის (საფრანგეთი) საუნივერსიტეტო ჰოსპიტლიდან ლოზანის (შვეიცარია) ჰოსპიტალში გადაინაცვლა. როგორც გაზეთი „ტელეგრაფი“ წერს, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი პერიოდულად გონს მოდის, თუმცა მალე იღლება და ისევ დასვენების ფაზაში გადადის.**

„ტელეგრაფს“ ეს ინფორმაცია ლეგენდარული მრბოლის ოჯახთან დაახლოებულმა პირმა მიაწოდა, რომელიც, როგორც წესი, ინფორმაციას არ ავრცელებს ხოლმე. ამასთან, როგორც ლოზანის საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის მედიასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი დარსი კრისტენი აცხადებს, შუმახერი იქ არა რამდენიმე დღით, არამედ გაცილებით დიდხანს დარჩება.



„აქ გადმოყვანა არ ნიშნავს, რომ მისი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ის ხან გონს მოდის, ხანაც გადის კონტაქტიდან, თუმცა, ფაქტია, რომ გაცილებით ხშირად და მეტხანს მოდის გონს, ვიდრე, ვთქვათ, აპრილში. მას ჯერ ლაპარაკი არ შეუძლია, თუმცა, კომუნიკაციას გარკვეულწილად ახერხებს. ექიმები და ოჯახის წევრები მუდმივად ელაპარაკებიან, სწრაფად იღლება და მერე ბევრი დასვენება სჭირდება“, – ამბობს კრისტენი.

იტალიური გაზეთი „ლა რეპუბლიკა“ კი წერს, რომ გადაყვანის შემდეგ რამდენიმე დღეა საჭირო იმისათვის, რომ „შუმის“ მდგომარეობა სტაბილური გახდეს, ამის შემდგ კი რეაბილიტაციის პროცესი დაიწყება. იმავე გაზეთის ინფორმაციით, გერმანელი მოკლე დროით, მხოლოდ თვალებით ახერხებს კონტაქტს.

კრისტენი დასძენს, რომ რეაბილიტაცია ხანგრძლივი პროცესია და ძნელია იმის თქმა, თუ რა შედეგი ექნება. რაც უნდა იყოს, ბევრი მოთმინებაა საჭირო. კრისტენი ამბობს, რომ ლოზანის ჰოსპიტლის ნევროლოგიურ დეპარტამენტს პროფესორი რიჩარდ ფრანკოვიაკი ხელმძღვანელობს, მისი განყოფილება კი ერთ-ერთი ყველაზე უკეთ აღჭურვილია მთელს მსოფლიოში. „აქ მკურნალობა და კვლევა ერთდროულად წარიმართება. შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ შუმახერისთვის ამ მომენტში ამაზე უკეთესი ადგილი არ არსებობს“, – ამბობს კრისტენი.

**კობა კობახიძე**

⊙ ინტერნეტიდან

# ნეიმარის სატრფო ქორწილზე ოცნებობს

**ბრაზილიელი ფეხბურთელის ნეიმარის მექალთანეობის შესახებ არაერთხელ დაგვიწერია და მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ამ ბიჭს ერთ ქალთან დიდხანს ყოფნა ძალიან უჭირს და წელიწადი ისე არ გავა, რომ რამდენიმე გულისსწორი არ გამოიცვალოს.**

ამ რეალობის მიუხედავად ნეიმარის ამჟამინდელი შეყვარებული, მოდელი გაბრიელა ლენცი იხტიბარს არ იტეხს და საქვეყნოდ აცხადებს, რომ ნეიმართან მისი ქორწინება გარდაუვალი ამბავია და ამის დასადასტურებლად ცოტა ხნის წინათ ინტერნეტში თავისი ფოტოები გამოფინა, სადაც გაბრიელა საქორწინო კაბაშია გადაღებული.



გახდება თუ არა ნეიმარი ცოლის ერთგული და მეოჯახე კაცი, ამის წინასწარმეტყველება ერთობ რთული რამ გახლავთ. მით უმეტეს ახლა, როდესაც ამ ბიჭს თავს უამრავი ლამაზი ასული ახვევია და სადაც კი გაიხედავს, ყველგან მისი ტრფობით მომზირალ თვალებს ხედავს.

**როსტომ რაჭველიშვილი**

## სტიქია გვიტევს!

# სეტყვა მძლავრობს, მისი საწინააღმდეგო აპარატურა კი აგვიანებს!..

**სტიქიური შემოტევები უკვე ძალიან თვალშისაცემი გახდა. განსაკუთრებით სავალალოა სეტყვისგან მიყენებული ზარალი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს უმეტესმა რაიონმა იწვნია. ამ დროს ირკვევა, რომ სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარების დამონტაჟება წელსაც არ იგეგმება. საუკეთესო შემთხვევაში, მისი შემოტანა და ამოქმედება 2015 წლის გაზაფხულიდან დაიწყება.**

გუშინწინ ძლიერმა წვიმამ და სეტყვამ ლაგოდეხის რაიონის სამი სოფელი — კარსუბანი, ვარდისუბანი და ჩადუნიანი დააზარალა. დატბორილია სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. სოფელ კართუბანში ძლიერი წვიმის შედეგად რამდენიმე საცხოვრებელი სახლიც დაიტბორა. ლაგოდეხის გარდა, ძლიერმა წვიმამ ყვარლის რაიონის სოფელი ახალსოფელიც დააზარალა.

სოფელ გურჯაანში, ჭანდარსა და ვეჯინში კი განადგურებულია ატმის მოსავალი და ვენახები. ადგილობრივების თქმით, სტიქია 15 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა, რამაც ვენახები 50 პროცენტით დააზიანა.

მოსახლეობა ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვს. როგორც დაზარალებულები აცხადებენ, მოსავლის გადარჩენას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებენ, თუ ხელისუფლება მათ შხამქიმიკატებით დაეხმარება.

სოფელ გურჯაანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის ნოდარ რაქვიაშვილის განცხადებით, ზარალის დამთვლელი კომისია მუშაობას უკვე შეუდგა.

ამის შემდეგ სტიქიამ ქვემო ქართლში გადმოინაცვლა და წალკას დაატყდა თავს. სხვათა შორის, წალკის მუნიციპალიტეტის სოფლები ბოლო ერთი კვირის განმავლობაში უკვე მესამედ დაისეტყვა. ამ რეგიონში მოსავლიანობა ისედაც მცირეა და ხალხს რისი იმედიც ჰქონდა, ისიც გაუნადგურდა.

დასეტყვილია რამდენიმე სოფელი და რაიონული ცენტრიც. როგორც გამგეობაში აცხადებენ, სტიქიამ გადაუარა უშუალოდ წალკას, სოფელ გუმბათს და ბეშთაშენის თემს. რამდენიმე სოფლის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ნათესები, ხეხილი და ბოსტნეული განადგურებულია.



სეტყვის შედეგად მიყენებულ ზარალს გამგეობასთან არსებული კომისია დილიდან სწავლობს. ადგილობრივი მოსახლეობა სტიქიისგან მიყენებული ზარალის სახელმწიფოსგან ანაზღაურებას ითხოვს.

წლევანდელ ზაფხულზე სტიქია ძალიან გააქტიურდა. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ზარალის მასშტაბები საკმაოდ დიდია. 2-3 დღეში ერთხელ სეტყვა რომელიმე რაიონს მაინც აზარალებს. ამ დროს მთავრობამ ვერაფრით მოაბა თავი სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარების დამონტაჟებას. თითქოს აპარატურა წელს უნდა შემოეტანათ და შესაბამის ადგილებში განეთავსებინათ, მაგრამ პროცესმა 1 წლით გადაიწია.

სოფლის მეურნეობის მინისტრის შალვა ფიფიას ინფორმაციით, კახეთის რეგიონში სპეციალური სარაკეტო სისტემის დამონტაჟება მომავალი წლის გაზაფხულიდან იგეგმება, რომელიც საჭიროების შემთხვევაში პრევენციას მოახდენს. მინისტრის თქმით, ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ორგანიზაცია „დელტა“ სეტყვის მიმართულებით აქტიურად მუშაობს.

თუმცა, შალვა ფიფია მიყენებულ ზარალთან დაკავშირებით აგროდაზღვევის განვითარებაზეც ამახვილებს ყურადღებას. მისი ინფორმაციით, მომდევნო ექვსი კვირის განმავლობაში სპეციფიკური კვლევა ჩატარდება და ამის შემდეგ სამინისტრო აგროდაზღვევის პროექტს უკვე წარმოადგენს.

დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი გურიასა და სამეგრელოს რეგიონებში არსებულ ზარალს კი, მინისტრის განცხადებით, სპეციალისტები აღრიცხავენ. აღირიცხება ინფრასტრუქტურული ზარალიც და სწორედ ამის შემდეგ მიიღებს მთავრობა გადაწყვეტილებას, თუ რა ფორმით მოხდება ამ ზარალის ანაზღაურება.

**ბექა დანელია**

## SIC! — ვწეროთ და ვიკითხოთ?

# „ნამუსიც კარგი საქონელია“

**ჯერ კიდევ 2013 წლის 20 აგვისტოს „სრ“ ფურცლებზე დაიბეჭდა ჩემი პატარა ინფორმაცია, სათაურით: „მოხეტიალე ძეგლები“, რომელიც ლეგენდარული ქართველი მეფისა და ბრწყინვალე მხედართმთავრის დავით აღმაშენებლის ძეგლის დიღმის შესასვლელიდან მის კუთვნილ ადგილას, სასტუმრო „იბერიის“ წინ მდებარე ტერიტორიაზე დაბრუნებას შეეხებოდა.**
როგორც შემდგომმა მოვლენებმა დაგვანახვა, ამ საჭირბოროტო საკითხზე მსჯელობა „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტებს არც შემდგომ პერიოდში შეუწყვეტიათ. გასული წლის 3 დეკემბერს, გაზეთის მესამე გვერდზე დაისტამბა ჩვენი სახელოვანი მოქანდაკის, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის, მერაბ ბერძენიშვილის ღია წერილი სათაურით — „ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს“. მრავალი სასიქადულო ქმნილების ავტორი მერაბ ბერძენიშვილი ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრს თხოვნით მიმართავდა, რომ დავითის ჩინებული ქანდაკება მის ძველ ადგილას, სასტუმრო „ივერიის“ ტერიტორიაზე დაებრუნებინა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ პოპულარული მოქანდაკის სამართლიან მოთხოვნას ხელს აწერდნენ ქვეყნის პოპულარული ადამიანები, ჭაბუა ამირეჯიბით თამადობით.

გაზეთის რედაქციას, არც წლეულს შეუწყვეტია ამ თემაზე საუბარი. მკითხველები იმასაც ითხოვდნენ, რომ „ცნობილი მოყვარული ველოსიპედისტის“, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ნოვაცია ორადგილიანი ველოსიპედის „ძეგლი“ ჯართში ჩაებარებინათ (ეს თხოვნაც არავის გულთან არ მიუტანია — **შ. ქ.**), როგორც იტყვიან, „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“, პრემიერ-მინისტრის სამსახურში სრული სიჩუმეა.

მიმდინარე წლის 13 თებერვალს, გაზეთში დასტამბულ ყველა წერილსა და ინფორმაციას მოვუყარე თავი და მთავრობის სასახლისკენ ავიღე გეზი. სქელტანიანი საქაღალდიდან წერილების საკმაოდ სქელი დასტა ამოვიღე და ბატონ ირაკლი ღარიბაშვილის პრესსამსახურის მომღიმარ მანდილოსნებს გადავეცი თხოვნით, რომ ადრესტისათვის ჩაებარებინათ თბილისის მშრომელებისა და გამოჩენილი ადამიანების სამართლიანი თხოვნა. სამსახურის მუშაკებმა დამარწმუნეს, რომ ბატონი პრემიერი უმოკლეს ვადაში გაეცნობოდა მას.

როგორც იტყვიან, „მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა“, მაგრამ პრემიერ-მინისტრის კანცელარიაში სრული სიჩუმეა. 13 ივნისს 4 თვე შესრულდა ამ წერილის ავტორის მთავრობის კანცელარიაში სტუმრობის შემდეგ. ერთადერთი სწორი დასკვნა გამოვიტანე, მთავრობის უმაღლეს ეშელონებში მოქმედებს გამოთქმა — „წერე და იკითხე“, მაღალი ჩინოსნები გაზეთს არ კითხულობენ. არ სცალიათ!

2014 წლის 12 აგვისტოს ხალხი ზეიმით აღნიშნავს დიდგორის ველზე საქართველოს ლაშქრის ისტორიულ გამარჯვებას მუსულმანური სამყაროს თითქმის ნახევარმილიონიანი არმიის წინააღმდეგ. გამარჯვების სულისჩამდგმელი მეფე დავით IV აღმაშენებელი გახლდათ. იქნებ ამ ბრწყინვალე გამარჯვების თარიღთან დაკავშირებით მაინც, დაუბრუნდეს მეფის ძეგლი თავის ძველ „პიედესტალს“. ამით ყველა გაიხარებს.

**შალვა ქირია,**
**საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვეტერანი სპორტული ჟურნალისტი.**

| |
|---|
| დემურ გადელია ოჯახით მწუხარებით თანაუგრძნობს მძახალს ნოდარ ზაზაძეს მამის **ბორის ზაზაძის** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის სხვა წევრებსა და ახლობლებს. |
| დავით გადელია ოჯახით მწუხარებით უსამძიმრებს სიმამრს ნოდარ ზაზაძეს მამის **ბორის ზაზაძის** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს. |
| მარინა კანდელაკი, თენგიზ კალანდაძე, ელიზბარ ლომინაძე, ვიტალი ხაზარაძე, პეტრე ბერაია, ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია თანაუგრძნობენ შესანიშნავ პიროვნებასა და მეგობარს ნოდარ ზაზაძეს მამის **ბორის ზაზაძის** გარდაცვალების გამო. |

## ალიანჩალიანი

### თუ ხელისუფლება საზოგადოების იგნორირებას გააგრძელებს, ხალხს აქციებზე ვიხილავთ

**ამის** შესახებ ექსპერტმა კახა კახიშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

— აქციები 2015 და 2016 წლებშია მოსალოდნელი, როდესაც არჩევნები არ იქნება; საზოგადოებაში გაჩნდება განცდა, რომ ვერ გააპროტესტებს რაღაც კონკრეტულ გადაწყვეტილებას ან არსებულ მდგომარეობას არჩევნების გზით. თუ ხელისუფლება გააგრძელებს საზოგადოების იგნორირებას, ალბათობა, რომ საზოგადოების ნაწილი აქციებზე ვიხილოთ, არის დიდი, — აღნიშნა კახა კახიშვილმა.

რაც შეეხება ნუგზარ წიკლაურის განცხადებას, რომ შემოდგომიდან საპროტესტო აქციები დაიწყება, კახიშვილი ვარაუდობს, რომ ამ პარტიის მოწყობილი აქციები მასშტაბური ვერ იქნება.

— ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ორგანიზებულ აქციას დიდი მასშტაბები ვერ ექნება. შესაძლებელია „ნაციონალურმა მოძრაობამ“ აქცია ჩაატაროს იმ ადამიანების მონაწილეობით, ვინც მას უჭერს მხარს; შესაძლებელია, საზოგადოების ნაწილი დაეთანხმოს „ნაციონალური მოძრაობის“ პროტესტის ლოზუნგს, მაგრამ არ მივიდეს,— განაცხადა კახიშვილმა.

### მარნეულში განმეორებითი კენჭისყრა 29 ივნისს ჩატარდება

**ამის** შესახებ ცესკოს სპიკერმა ეკა აზარაშვილმა განაცხადა.

— მედიასაშუალებებით გავრცელებული ვიდეოების შესწავლის და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ, გაუქმებულია მარნეულის ორი, №25 და №57 უბნის შედეგები. ამ ორ უბანზე 29 ივნისს გაიმართება განმეორებითი კენჭისყრა, — განაცხადა აზარაშვილმა.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ მარნეულის 22-ე საარჩევნო ოლქის 25-ე და 57-ე საარჩევნო უბნებზე გადაღებული ვიდეომასალა წარმოადგინა, რომელშიც, პარტიის ლიდერების შეფასებით, გაყალბებაა ასახული. კადრებში ჩანს, რომ ერთი და იგივე პირი საარჩევნო ყუთში რამდენიმე ბიულეტენს აგდებს.

### დაიწყო აპლიკანტთა განაცხადების განხილვა

**საგანმანათლებლო** პროგრამების ფარგლებში ცენტრის ბაზაში 1 279 აპლიკანტი დარეგისტრირდა, რომელთაგან 514-მა კონკრეტული არჩევანი პროგრამების მიხედვით დააფიქსირა.

აპლიკანტების უმეტესობა სამაგისტრო პროგრამებით არის დაინტერესებული. საბაკალავრო პროგრამებზე მიღებულია 20 აპლიკაცია, სადოქტორო პროგრამაზე — 44 აპლიკაცია, სამაგისტრო პროგრამაზე კი — 435 აპლიკაცია, ხოლო სახელმწიფო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე — 15 აპლიკაცია.

მიმართულებების მიხედვით კი ყველაზე მეტი განაცხადი მიღებულია ბიზნესის ადმინისტრირების, სოციალური მეცნიერებებისა და სამართლის სპეციალობებზე.

აპლიკანტთა რაოდენობა მიმართულებებზე ასე ნაწილდება: აგრარული მეცნიერებები — 16 აპლიკანტი; ბიზნესის ადმინისტრირება — 133; განათლება — 10; გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა — 2; ზუსტი და საბუნებისმეტყველო (სიცოცხლის შემსწავლელი) მეცნიერებები — 8; თავდაცვა და უსაფრთხოება — 4; ინჟინერია და ტექნოლოგიები — 29; სამართალი — 99; სოციალური მეცნიერებები — 120; ურბანული განვითარება, არქიტექტურა, რესტავრაცია და კონსერვაცია — 8; ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები — 70; ჯანდაცვა და სამედიცინო მიმართულებები — 15 აპლიკანტი.

საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სისტემაში რეგისტრირებული აპლიკანტებიდან 28 მიმდინარე გრანტის მფლობელია, ხოლო 486 — ახალი აპლიკანტი.

აპლიკანტების უმრავლესობამ სასწავლებლად დიდი ბრიტანეთის, აშშ-ის, ნიდერლანდების სამეფოს, გერმანიისა და შვედეთის უნივერსიტეტები შეარჩია.

კონკურსის საბოლოო შედეგები 7 ივლისს გახდება ცნობილი.

განათლების საერთაშორისო ცენტრი პრემიერ-მინისტრის ინოვაციური პროექტების ფარგლებში დაარსდა. ცენტრის მიზანია, საერთაშორისო სტანდარტების კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალების მომზადება.

ინტერპრესი

## მცირე ენციკლოპედია

### მყარი თაფლი

**ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჯერ კიდევ სამი ათასი წლის წინათ ინდოელი ექიმბაშები ლერწმის შაქარს უებარ წამლად მიიჩნევდნენ.**

ინდოეთის ბაზრობებზე შაქრის ტკბილეულით ვაჭრობდნენ – ასე ეძახდნენ ლერწმის შედედებულ წვენს. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ხანგრძლივი მოგზაურობის დროს თავად ლერწამთან ერთად ეს სიტყვა ყველა ენაში თავის ჟღერადობას იძენდა, ადგილობრივ კილოკავს ერგებოდა, თუმცა, ეს ყველგან დედნის მსგავს ჟღერადობას ინარჩუნებდა. ასე გაჩნდა ბერძნული sakchar, ლათინური „saccharum“, ქართული „შაქარი“, ჩეხური „cukr“, ინგლისური „sugaz“, გერმანული „zucker“.



დღესდღეობით შაქარი კვების შეუცვლელი პროდუქტია, რომლის გარეშე მრავალი ჩაროზის წარმოდგენა შეუძლებელია. შაქრიდან ჩვენი ორგანიზმი გლუკოზას იღებს, რომელიც ნერვული ქსოვილებისთვის ენერგიის მიღების ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. შაქარი ფართოდ მედიცინაში გამოიყენება – მას სამკურნალო სიროფებს უმატებენ.

სხვათა შორის, მსოფლიოში შაქრის ორი მესამედის წარმოება სწორედ ლერწამზე მოდის. საკუთრივ შაქრის შემცველობით ლერწამი მდიდარი არ არის (მხოლოდ 4 პროცენტი), მაგრამ ყინვებისა და დაავადებების მიმართ მეტად გამძლეა. მისი სამშობლოა ბენგალია – განგის შუა და ქვედა წელში მისი უძველესი პლანტაციების ნაკვალევია შემორჩენილი და როგორც ჩანს, მსოფლიოში მისი ტრიუმფალური სვლა სწორედ აქედან დაიწყო. ევროპელთაგან კი ლერწმის ტკბილი წვენი პირველებმა ალექსანდრე მაკედონელის მეომრებმა დააგემოვნეს, რომლებიც ინდოეთში ჩ.წ.ა. 327 წელს შეიჭრნენ. თუმცა კი, ევროპამდე „მყარმა თაფლმა“ მხოლოდ თხუთმეტი საუკუნის შემდეგ მიაღწია, რომელიც სხვა ფასეულობებთან ერთად აზიიდან ჯვაროსნებმა ჩაიტანეს.

### ნიჭი, ბიძიკო, ნიჭი...

**ბევრ ჩვენგანს, ალბათ, არაერთგზის გვსმენია ახლობლებისაგან: ჩემი მშობლების დაჟინება რომ არა, ინჟინერი (ექიმი, სპორტსმენი, მსახიობი და ა.შ.) ვიქნებოდიო. არადა, მართლაც, ბავშვის ნიჭის ამოცნობა, რომელიც დაბადებისთანავე აქვს ნაბოძევი, საკმაოდ ხანგრძლივი და უაღრესად საპასუხისმგებლო საქმეა.**

ორ-სამი, ანდა, სულაც, ხუთი-ექვსი წლის ასაკში ბავშვის ნიჭის გამოვლენა, პრაქტიკულად შეუძლებელია. გამონაკლისს, თუმცა კი ძალიან იშვიათ შემთხვევაში, გენიალობა წარმოადგენს. ამასთან, არის კიდევ გამონაკლისი შემთხვევები, როცა ბავშვს ადრეულ ასაკშივე გარკვეული სამუსიკო, ლიტერატურული, სამსახიობო მისწრაფებები აღმოაჩნდება.



იმის დასადგენად, თუ რისკენაა ბავშვი მიდრეკილი, საამისოდ მას სკოლამდელი ასაკიდან მოყოლებული მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში თავის მოსინჯვის პირობები უნდა შეუქმნათ თანმიმდევრული მონაცვლეობით. პრაქტიკა მოწმობს, რომ იმ ადამიანებმა, ვინც ცხოვრებაში დიდ წარმატებას მიაღწიეს, საკუთარი ნიჭი დაახლოებით 10 წლის ასაკისთვის აღმოაჩინეს. მშობლების შეცდომა ხშირად იმაშია, რომ ისინი ხშირად ერთ რომელიმე მიმართულებას ირჩევენ – სპორტს, მუსიკას, მხატვრობას, რა დროსაც საკუთარი პრიორიტეტებით ხელმძღვანელობენ და შვილსაც იგივე პროფესიის დაუფლებას აიძულებენ. ამიტომ, ფსიქოლოგები მშობლებს, უწინარესად, ბავშვის დაინტერესებას ურჩევენ. ზოგადად კი, რაღაც საქმის მიყოლის სურვილი ორ ფაქტორზეა დამოკიდებული: რამდენად იზიდავს ბავშვს ესა თუ ის საქმე და რამდენად გამოსდის მისი კეთება.

### ხასიათს გაარჩია

**პარფიუმერიას ქალბატონებიც ხმარობენ და მამაკაცებიც, პარფიუმერები კი ორივე სქესის წარმომადგენლებს სულ მცირე სამი განსხვავებული სუნამოს ქონას ურჩევენ – სხვადასხვა შემთხვევისა და გუნება-განწყობის შესაბამისად.**



მსუბუქი და ციტრუსის გამამხნევებელი ნოტების შემცველი სუნამო დილის საათებისთვის, სამუშაოზე და საქმიანი შეხვედრებისთვისაა კარგი. ხილისა და ამბრის მძაფრი და მძიმე არომატები საღამო საათებისთვის, რომანტიკული პაემანებისთვის, თეატრში წასასვლელადაა კარგი. აი, მაგალითად, როგორ რჩევას იძლევა შანელის სახლში წლების მანძილზე მომუშავე პარფიუმერი: „ღამღამობით გამოიყენეთ ხილის არომატებიანი სუნამოები, რომლებიც არა მარტო ყნოსვაზე, არამედ პირის გემოზეც მოქმედებენ. ასეთი არომატები ქალბატონებს არა იმდენად სურნელებიან ყვავილებად, რამდენადაც მიმზიდველ ნაყოფად აქცევენ“.



### თევზეულის ტრფიალნი

**ყველაზე მეტ თევზეულს მსოფლიოში იაპონიაში მოიხმარენ.**

ამომავალი მზის ქვეყნის ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით იქ ყოველწლიურად 27 კილოგრამ თევზს ჭამენ. იაპონელების შემდეგ თევზეულის მოყვარულთა ნუსხაში შვედები არიან, რომლებსაც ნორვეგიელები და პორტუგალიელები მოსდევენ, სადაც თითო კაცი ყოველწლიურად 20 კილოგრამ თევზს მიირთმევს. ამასთან, არიან ქვეყნები, სადაც თევზი მაინცდამაინც დიდად პოპულარული საკვები არ არის, იქ წელიწადში კაცზე 1-2 კილოგრამი ეს ზღვის პროდუქტი იხარჯება.

## რამპა

### ოპერის თეატრი „აბესალომ და ეთერს“ წარმოადგენს



თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი 26 ივნისს კონსერვატორიის დიდ დარბაზში საკონცერტო ვერსიით წარმოადგენს ქართულ საოპერო კლასიკას – ზაქარია ფალიაშვილის **„აბესალომ და ეთერს“**.

ოპერის თეატრის გუნდს და ორკესტრს უდირიჟორებს **დავით მუქერია.** მთავარ პარტიებს იმღერებენ: **თეიმურაზ გუგუშვილი** (აბესალომი), **მაყვალა ასპანიძე** (ეთერი), **სულხან გველესიანი** (კიაზო), **ნინო ჩაჩუა** (მარეხი), **ირინე ალექსიძე** (ნათელა), **გოჩა დათუსანი-ჯილაური** (აბიბო მეფე), **თამაზ საგინაძე** (თანდარუხი), **ზურაბ იაშვილი** (სტუმარი), **მანანა იორდანიშვილი** (ნანა), **ვახტანგ ჯაშიაშვილი** (მსახურთუხუცესი).


## ქართული ფლორის საოცრება

### „სალხინო“ უებარი წამალია




**„სალხინო“** აწესრიგებს შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. რეკომენდებულია მასტოპათიების, ჭრილობების, კანის, ლორწოვანი, ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს. რინიტის, ბრონქიტის, პულპიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, პროსტატიტის, რადიკულიტის, ბუასილისა და სხვა ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას.

**„სალხინო“** სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭისა და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ **„სალხინოს“** მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

**„სალხინოში“** შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებული და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

**„სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.**

**ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84**
**www.salkhino.ge**


## ფოტოფაქტი



**„ფული სადაა?“ – ეკითხება მოსკოვი კიევს. ფული კი ჩინეთშია. ამ დღეებში ადგილობრივმა მებაჟეებმა დააკავეს კონტრაბანდისტი, რომელსაც თავის ტანით 580 ათასი დოლარი გადაჰქონდა. სხვათა შორის, რუსეთში ჩინური ინვესტიციები ლეგალური გზით წავა.**

## ცინცხალი ანეკდოტები

**– რაღაც არ მომწონხართ... – ეუბნება ექიმი პაციენტს.**
**– თუ სიმართლე გინდათ, არც თქვენ ხართ დიდად მომხიბვლელი ვინმე.**

* * *

**– პოდიში უნდა მოგიხადოთ, ქალბატონო: გავიგე, რომ ჩემს ქათამს თქვენს ბაღში პამიდორი დაუზიანებია.**
**– ნუ ინერვიულებთ, ბატონო ის თქვენი ქათამი ჩემმა ძაღლმა დაგლიჯა.**
**– ო, ეს შესანიშნავია, – თქვენი ძაღლი ჩემი მანქანის ბორბლებქვეშ მოყვა.**



* * *

**– ახლა რას აკეთებ?**
**– საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას ვეწევი.**
**– კონკრეტულად?**
**– არავის არ ვუშლი ხელს.**

* * *

**ხალხმა რაღაც იეჭვა, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტის ცოლმა ერთი ტომარა მარილი და ორი ყუთი ასანთი იყიდა.**

* * *

**– ჩემი სიდედრი ვერ მიტანს.**
**– მე კი ჩემსას ვუყვარვარ.**
**– როგორ მოახერხე ეს?**
**– ერთხელ ღამით ოთახები შემეშალა.**


**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24